მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების
კავკასიური ინსტიტუტი

CIPDD

პოლიტიკის ანგარიში

მარტი 2009

# საქართველოს სატყეო სექტორი

**ირაკლი მაჭარაშვილი**

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

## ანოტაცია

საქართველოს ტყეებს აქვს უდიდესი ეკოლოგიური ფუნქცია, როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ და გლობალურ დონეზე. ისინი გამოირჩევა ენდემიზმის მაღალი დონით, უნიკალური ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, ასრულებს კლიმატის წარმომქმნელ, ნიადაგდაცვით, წყალმარეგულირებელ და სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებს; ტყეებს განსაკუთრებული როლი ენიჭება კლიმატის ცვლილებისა და სხვა გლობალური ეკოლოგიური კატაკლიზმების გავლენის შერბილებაში. საქართველოში ტყეებს აქვს სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული, ესთეტიური, სულიერი და კულტურული მნიშვნელობა. უკანასკნელ ათწლეულებში ტყეები სერიოზულად განადგურდა.

**1990**-იანი წლებიდან სატყეო სექტორის რეფორმირების საკითხი აქტუალური განხილვის საგანია, მაგრამ რეალური ღონისძიებები ჯერ არ განხორციელებულა. არ არსებობს ეროვნული სატყეო პოლიტიკა. მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული და საკადრო ცვლილებების შედეგად პოლიტიკის შემუშავებისა და რეფორმის პროცესი რამდენჯერმე გადაიდო, ან რადიკალურად შეიცვალა მიმართულება. სხვადასხვა ხელმძღვანელობის პერიოდში შემუშავდა სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის ათამდე პროექტი, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. სუსტი იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართვის პოლიტიკური ნება; სატყეო პოლიტიკის ყველა ვარიანტის შემუშავების დროს ხდებოდა მისი მისადაგება უკვე გადაწყვეტილ მთავრობის კურსთან.

საქართველოს სატყეო სექტორში არსებული სიტუაცია და პრობლემები შესაძლებელია შემდეგნაიად დახასიათდეს:

- არ არსებობს ეროვნული სატყეო პოლიტიკა და სტრატეგია;
- სატყეო სექტორთან დაკაშირებული მოქმედი კანონმდებლობა არ შესაბამება ტყეების მდგრადი მართვის პრინციპებს, სხვდასხვა დროს მიღებული კანონები წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან;
- სატყეო სექტორის ინსტიტუციური მოწყობა გაუმართავია და ვერ უზრუნველყოფს ტყეების მდგრად მართვას;
- ქვეყნის ტყის ფონდის უმეტეს ნაწილში ტყეთმოწყობა არ ჩატარებულა **10** წელზე მეტი ხნის განმავლობაში. სახელმწიფო არ ფლობს ინფორმაციას სატყეო ფონდის, ანუ ქვეყნის ტერიტორიის **43%**-ის მდგომარეობის შესახებ;
- ტყეების კატეგორიზაციის არსებული სისტემა გაუგებარია და შეუთავსებელია თანამედროვე ტყის მდგრადი მართვისა და ეკოსისტემური მიდგომის პრინციპებთან;
- მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია დაცული სტატუსი. ქვეყანაში დაცული ტერიტორიები არასაკმარისია;
- არ განხორციელებულა ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ტყეების გადაცემა;
- ტყის ერთადერთ მესაკუთრედ დღემდე რჩება სახელმწიფო, რომელსაც ამ ეტაპზე არ გააჩნია ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსები სატყეო მეურნეობის წარმართვისათვის;
- ქვეყნის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებისა და რეკომენდაციების შესრულებისათვის არაფერი არ კეთდება;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა შეზღუდულია;
- დღეისათვის დამკვიდრებული ტყითსარგებლობის პრაქტიკა ხელს უშლის სატყეო სექტორში დასაქმებულ მეწარმეებს შორის ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას; პრობლემებს უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას; არ არის გათვალისწინებული გარემოსდაცვითი შედეგები, რამაც შესაძლებელია ტყის ეკოსისტემების დეგრადაცია და საბოლოოდ ადამიანის მიერ პროვოცირებული ეკოლოგიური კატასტროფები გამოიწვიოს.

ამდენად, ამ უარყოფითი ტენდენციების აღმოსაფხვრელად სექტორი საჭიროებს ძირეულ და გადაუდებელ რეფორმირებას – პოლიტიკის, საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე. ნაშრომი შემუშავდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების ინიციატივით. კერძოდ, პოლიტიკის ანალიზის მომზადების ინიციატორები იყვნენ მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი და ასოციაცია მწვანე ალტერნატივა. ნაშრომი მომზადდა სხვა დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, დამოუკიდებელი ექსპერტებსა და პასუხისმგებელ ოფიციალურ პირებთან კონსულტაციის საფუძველზე.

[1] წარმოდგენილი ნაშრომი მომზადებულია აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამის მხარდაჭერით. პროექტს ახორციელებს «მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი» საქართველოში ამერიკის საელჩოს მცირე გრანტების პროგრამის დახმარებით. ნაშრომში გადმოცემული მოსაზრებები, დასკვნები და რეკომნედაციები არ ასახავს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიციას.

## 1. ეროვნული სატყეო პოლიტიკის მნიშვნელობა

საქართველო, როგორც კავკასიის შემადგენელი ნაწილი, შედის ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის 200 გლობალური ეკორეგიონის ნუსხაში. ბიომრავალფეროვნების ღირებულებისა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების გათვალისწინებით, დღეისათვის მსოფლიოში გამოყოფენ ბიომრავალფეროვნების 34 ცხელ წერტილს (ბიოლოგიურად უმდიდრესი და, ამავდროულად, ყველაზე მეტად საფრთხის წინაშე მყოფი ხმელეთის ეკორეგიონები). ამ 34-დან საქართველოს ტერიტორია შედის ორში – კავკასიისა (საქართველოს უმეტესი ნაწილი)და ირან-ანატოლიის (სამხრეთ საქართველო, ჯავახეთი) ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილებში[2] [27].

**რეგიონის მასშტაბით საქართველო ტყით მდიდარ ქვეყანად ითვლება.**

ტყე ქვეყნის უპირველესი ბუნებრივი სიმდიდრეა. რეგიონის მასშტაბით საქართველო ტყით მდიდარ ქვეყანად ითვლება. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები[3] შეადგენს 2 988 000 ჰა-ს, აქედან ტყით დაფარულია 2767000 ჰა, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 40% შეადგენს[4] [8]. ბოლო ათწლეულების განმავლობაში უსისტემო და ჭარბი ექსპლოატაციის გამო ტყის საშუალო სიხშირე კრიტიკულ ზღვრამდეა მისული (0,52). ამასთან, კრიტიკულ ზღვარზე (0,5) დაბალი სიხშირის კორომები ტყით დაფარული საერთო ფართობის ნახევარზე მეტს (55%) შეადგენს[5] [6]. მათ მკვეთრად აქვთ დაქვეითებული დაცვითი ფუნქციები, თვითაღდგენა-თვითგანახლების უნარი. ამასთანავე, ჯერ კიდევ შემორჩენილია თითქმის ხელუხლებელი ტყის კორომები, რომლებსაც დიდი კონსერვაციული (გარემოსდაცვითი) მნიშვნელობა აქვს და ჩვენი ბიოგეოგრაფიული ერთეულის ტყეების რეპრეზენტატიულ მაგალითს წარმოადგენს, ვინაიდან ეს არის დედამიწის ზომიერ სარტყელში შემორჩენილი ერთ-ერთი უკანასკნელი ტყის მასივები.

საქართველოს ტყეებს აქვს უდიდესი ეკოლოგიური ფუნქცია როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ და გლობალურ დონეზე. ისინი გამოირჩევა ენდემიზმის მაღალი დონით, უნიკალური ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, ასრულებს კლიმატის წარმომქმნელ, ნიადაგდაცვით, წყალმარეგულირებელ და სხვა მნიშვნელოვან ეკოლოგიურ ფუნქციებს; მათ განსაკუთრებული როლი ენიჭება კლიმატის ცვლილებისა და სხვა გლობალური ეკოლოგიური კატაკლიზმების გავლენის შერბილებაში. საქართველოში ტყეებს აქვს უდიდესი ისტორიული, ესთეტიური, სულიერი და კულტურული მნიშვნელობა.

საზოგადოების ინტერესი ტყეებისადმი განპირობებულია არა მხოლოდ გარემოსდაცვითი და ესთეტიკურ-კულტურული მოსაზრებებით, არამედ მათი სოციალურ-ეკონომიკური მნიშველობის გამო. სოფლად მცხოვრები მოსახლეობა მთლიანად დამოკიდებულია სატყეო ფონდზე. შეშა ყველაზე გავრცელებული და ხელმისაწვდომი ენერგეტიკული რესურსია. შეშა არა მარტო ზამთრის, არამედ მთელი წლის განმავლობაში გამოიყენება სათბობად, ასევე საჭმლის მოსამზადებლად და სხვ. სოფლის მცხოვრებთათვის საჭირო ტყის რესურსები მხოლოდ საშეშე მერქნით არ ამოიწურება. საარსებოდ ასევე აუცილებელია სამასალე მერქანი, ტყის ფონდში არსებული საძოვრები, ტყის მერქნის წვრილი სორტიმენტი (ჭიგო, სარი და სხვ.), ტყის არამერქნული რესურსები (სოკო, კენკრა და ა.შ.). ამასთანავე, ტყეებთან დაკავშირებულ სოციალურ საკითხს განეკუთვნება დასაქმება სატყეო სექტორში. 2007 წლისთვის სატყეო სექტორთან დაკაშირებულ საჯარო სამსახურებში დაახლოებით 3000 ადამიანი იყო დასაქმებული, ხოლო კერძო სექტორში – სავარაუდოდ 15-20 ათასი ადამიანი (წელიწადში გაიცემოდა დაახლოებით 500 ლიცენზია).

ტყეების განადგურება, ტყის ჭრა ძალზე მტკივნეული თემაა ქართულ საზოგადოებაში. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ცნობილი ფაქტია, რომ მთელ მსოფლიოში ბუნების სიმბოლოდ, ხატად მიჩვეულია ტყე და არა რომელიმე სხვა ბუნებრივი ფენომენი (მაგ. უდაბნო, ზღვა, მდინარე, რომელიმე ცხოველი). სატყეო სექტორი დღემდე რჩება ერთ-ერთ ყველზე კორუმპირებულ სფეროდ, რაზეც მეტყველებს პერიოდული ხმაურიანი დაპატიმრებები და ხშირი „საკადრო წმენდები". საზოგადოების ფართო დისკუსიის საგანი ხდება ე.წ. „ტყეების გაყიდვის" თემა, ეკლესიებზე და ადგილობრივ თვითმმართველობებზე ტყეების გადაცემა, „რეფორმა" და ა.შ. ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღებისა და მედიის მიერ საზოგადოებას მიეწოდება დაუზუსტებელი ან მცდარი ინფორმაცია, საიდანაც სწორი დასკვნების გაკეთება შეუძლებელია.

1990-იანი წლების ბოლოდან ისმის საუბარი სატყეო სექტორის რეფორმირების საჭიროებაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი დღემდე აქტუალურია, ვინაიდან მთელი ამ წლების განმავლობაში თანმიმდევრული პოლიტიკა არ განხორციელებულა და, შესაბამისად, რეალური სასიკეთო ცვლილება არ მომხდარა. დღემდე სატყეო სექტორთან დაკავშირებული უწყების ყოველი ახალი ხელმძღვანელი („ვარდების რევოლუ-

---

[2] კავკასიის ცხელი წერტილი მოიცავს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთებს – რუსეთის ფედერაციის სამხრეთ ნაწილს (მათ შორის ადიღეას, ყაბარდო-ბალყარეთს, ყარაჩაი-ჩერქეზეთს, ინგუშეთს, ჩეჩნეთს, ჩრდილო ოსეთს, დაღესტანს), საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთს, ჩრდილო-დასავლეთ თურქეთს და ჩრდილო-დასავლეთ ირანის ნაწილს. წყარო: http://www.biodiversityhotspots.org [27].

[3] „საქართველოს ტყის კოდექსის" მიხედვით, საქართველოს ტყის ფონდი მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდსა და საქართველოში საკუთრების სხვა ფორმით არსებულ ტყეებსა და მათ რესურსებს.

[4] ეს არის ოფიციალურ დოკუმენტებში მოცემული მონაცემები, თუმცა მათი სიზუსტე ნაკლებად სარწმუნოა შემდეგი მიზეზების გამო: ტყის საზღვრების დემარკაცია არ ჩატარებულა; ტყეების ინვენტარიზაციის მონაცემები ძალზე მოძველებულია; მონაცემებში იგულისხმება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებიც.

[5] წყარო: [6]. „საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა" დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2005 წ. 18 თებერვლის №127 დადგენილებით.

ციის“ შემდეგ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უკვე მე-7 მინისტრი ჰყავს, ხოლო სატყეო დეპარტამენტს – მე-6 თავმჯდომარე) მოღვაწეობას იწყებს განცხადებით, რომ მისი პრიორიტეტი იქნება სატყეო სექტორის რეფორმა. ამასთანავე, ახალი კურსი ხშირად რადიკალურად განსხვავება წინისგან.

ამდენად, საზოგადოების ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ, ერთი მხრივ, შენარჩუნებული იქნეს ტყეები როგორც ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული გარემოს შემადგენელი ნაწილი, ხოლო, მეორე მხრივ, მისი რესურსები ხელმისაწვდომი იყოს ქვეყნის მოსახლეობისათვის, ასევე ამ სექტორიდან მიღებული შემოსავლები ადეკვატურად აისახოს ქვეყნის ეკონომიკაში/ბიუჯეტში. სხვანაირად რომ ვთქვათ, უნდა მოიძებნოს გზები, რათა უზრუნველყოფილი იქნას ბალანსი, ერთი მხრივ, კონსერვაციასა და, მეორე მხრივ, გამოყენებას შორის. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია ქვეყანაში ეროვნული სატყეო პოლიტიკის არსებობა, რომელიც დაეყრდნობა მდგრადი გამოყენების თანამედროვე პრინციპებს და იქნება რეფორმისა და განახლებული კანონმდებლობის საფუძველი.

## 2. სატყეო სექტორის მართვის გამოცდილება საქართველოში

საქართველოში გასაბჭოებამდე ტყე ეკუთვნოდა სახელმწიფოს, კერძო მფლობელებს, ეკლესიებს, სოფლებს და თემებს (ანუ ოჯახებსა და გვარებს); მთიან რეგიონებში, გარკვეულწილად, ეს ტრადიციები ჯერ კიდევ შემორჩენილია.

საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ ტყე გამოცხადდა სახელმწიფო (მოგვიანებით საერთო-სახალხო) საკუთრებად. ტყეები დაიყო ორ ჯგუფად: სახელმწიფო მნიშვნელობის (რომელშიც შედიოდა სახელმწიფო სატყეო მეურნეობის ტყეები, ქალაქის ტყეები, სხვადასხვა ორგანიზაციაზე მიჩენილი ტყეები და ნაკრძალები) და საკოლმეურნეო ტყეებად (საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კუთვნილი ტყეები).

სახელწიფო ტყეების ძირითად ნაწილს – სამეურნეო ტყეებს – მართავდა სახელმწიფო უწყება, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელით ფუნქციონირებდა. ტყეების მართვის ერთეულები იყვნენ სატყეო მეურნეობები, რომლებსაც ადმინისტრაციულთან ერთად (დაცვა, სანებართვო დოკუმენტაცია) ეკისრებოდათ სამეურნეო ფუნქციებიც (მერქნის დამზადება, აღდგენა-განახლება და სხვ.). ამ ტყეების ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა მერქნის დამზადება. ნაკრძალებსა და სამონადირეო მეურნეობებს სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყება მართავდა [3].

საკოლმეურნეო ტყეებში ტყითსარგებლობას ახორციელებდნენ კოლმეურნეობები და მათი წევრები – კოლმეურნეები. საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის ტყითსარგებლობის წარმოება იყო უფასო, ხოლო კოლმეურნეობის წევრები ტყითსარგებლობას ახორციელებდნენ შეღავათიანი პირობებით ან უფასოდ. საკოლმეურნეო ტყეებში, მერქანსა და სხვა პროდუქციაზე კოლმეურნეთა საჭიროებების დაკმაყოფილების შემდეგ, კოლმეურნეობას შეეძლო ტყითსარგებლობის უფლება მიეცა სხვა ტყითმოსარგებლეებისათვის. დამზადებული პროდუქციისათვის თანხა მათ უნდა გადაეხადათ სახელმწიფო ტყეებისათვის დადგენილი ნიხრების მიხედვით. კანონის მიხედვით, მიღებული თანხები უნდა მოხმარებოდა სატყეო მეურნეობის გაძლოლას. კოლმეურნეობის წევრთა/რწმუნებულთა კრების თანხმობით შესაძლებელი იყო საკოლმეურნეო ტყის ნაწილის ან მთლიანად ტყის სახელმწიფოსათვის გადაცემა [5].

**სატყეო სექტორი დღემდე რჩება ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ სფეროდ, რაზეც მეტყველებს პერიოდული ხმაურიანი დაპატიმრებები და ხშირი „საკადრო წმენდები“.**

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში, ტყეების ჭრა განსაკუთრებით დიდი მასშტაბებით არ ხორციელდებოდა. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან საქართველოს ტყეები მიაკუთვნეს I კატეგორიას (დაცვითი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეები), რის გამოც მთავარი სარგებლობის ჭრებით დასამზადებელი ხე-ტყის მოცულობა შემცირდა 430 ათას კბმ-მდე წელიწადში. სამასალე მერქნის დიდი ნაწილი (2 მლნ კუბური მეტრი ყოველწლიურად) რუსეთიდან შემოდიოდა, ხოლო საშეშე მერქნის მოხმარებას ჰქონდა სხვა ალტერნატივებიც (იაფი დენი, თხევადი გაზი, მაზუთი, ქვანახშირი). ამასთანავე, როგორც სატყეო დარგის ცნობილი ქართველი მეცნიერები აღნიშნავდნენ, იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც ხდებოდა მთავარი სარგებლობის ჭრები, ტყეების მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა [1]. თეორიულად, სწორად ჩატარებული ჭრების შედეგად უნდა იზრდებოდეს ტყიდან მიღებული ეკონომიკური შემოსავალი და ასევე ტყის საექსპლუატაციო კორომებში მერქნის გამოსავლიანობა. მდგომარეობის გაუარესებას კი განაპირობდა შემდეგი ფაქტორები: ტყით სარგებლობის მოცულობის გაანგარიშება ხდებოდა არასწორად, ზუსტად ვერ დგინდებოდა მოპოვებული მერქნის რაოდენობა, არ აღირიცხებოდა უკანონო ჭრების მნიშვნელოვანი ნაწილი, არ მიმდინარეობდა საკმარისი სატყეო გზების (სატყეო ინფრასტრუქტრის) მშენებლობა, რის გამოც არსებული გზების მიმდებარედ ხდებოდა ჭარბი რაოდენობით მერქნის მოპოვება. მეორე მხრივ, ამ უკანასკნელმა ფაქტორმა – სატყეო გზების ქსელის არარსებობამ – განაპირობა საქართველოს ტყეების მნიშვნელოვან ნაწილში ხელუხლებელი კორომების შენარჩუნება.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს ტყეები, ნაკრძალების ჩათვლით, სერიოზულად განადგურდა, რასაც ხელი შეუწყო პოლიტიკურმა და სოციალ-ეკონომიკურმა კრიზისმა, კრიმინოგენულმა სიტუაციამ, კორუფციის მაღალმა დონემ. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა შეიქმნა საკოლმეურნეო ტყეებში. საბჭოთა კავშირის დაშლას კოლმეურნეობების დაშლაც მოჰყვა. იმ წლებში კოლმეურნეობების ქონება, მათი წევრთა კრებების გადაწყვეტილების საფუძველზე, სახელმწიფოს გადაეცემოდა. ასე

მოხდა ფორმალურად ტყეების ერთი ნაწილის გადაცემაც, თუმცა რეალურად გადაბარება (მიღება-ჩაბარება), ზოგ ადგილებში კი ფორმალური გადაცემა არ განხორციელებულა. ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები ფაქტიურად უპატრონოდ დარჩა და წლების განმავლობაში ძლიერ განადგურდა. უმეტეს ტერიტორიაზე მერქნული მარაგები მთლიანად მოისპო და მხოლოდ ბუჩქნარიღა შემორჩა, ზოგან კი ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების ფართობები პირწმინდად გაიჩეხა და მოსახლეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად — სახნავ-სათესად, საძოვრად, სათიბად — გამოიყენება.

**პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს ტყეები, ნაკრძალების ჩათვლით, სერიოზულად განადგურდა, რასაც ხელი შეუწყო პოლიტიკურმა და სოციალ-ეკონომიკურმა კრიზისმა, კრიმინოგენულმა სიტუაციამ, კორუფციის მაღალმა დონემ.**

1992-98 წლებშისატყეო სექტორში შემორჩენილი იყო საბჭოთა მართვის სტილი, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო სამეურნეო ფუნქციებსაც ასრულებდა (მერქნის დამზადება და ა.შ) და საბიუჯეტო დაფინანსებასაც იღებდა. მთავარი სარგებლობის ჭრებისათვის[6] ლიცენზიებს გასცემდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ხოლო სატყეო მეურნეობის სახელწიფო დეპარტამენტი (დამოუკიდებელი უწყება) გასცემდა ტყის ჭრის ბილეთებს [3].

1999 წელს მიღებული იქნა სატყეო ურთიერთობების მარეგულირებელი კანონი — საქართველოს ტყის კოდექსი. სატყეო მეურნეობებს ჩამოშორდა სამეურნეო ფუნქცია, ანუ ხე-ტყის დამზადების უფლება მთლიანად დელეგირებულ იქნა კერძო სექტორზე. კოდექსის მიხედვით, დაშვებული იქნა ტყეების განსახელმწიფოებრიობა (კერძო მფლობელებისთვის გადაცემა), რისი აუცილებელი წინაპირობა არის სპეციალური კანონის მიღება. ასევე დაშვეული იქნა თვითმმართველობის მიერ მართული ადგილობრივი ტყის ფონდის არსებობა. თუმცა არც ერთი ამ მიმართულებით (პრივატიზაცია, დეცენტრალიზაცია) პრაქტიკული ღონისძიებები დღემდე არ განხორცილბულა.

*ტყის კოდექსის* მიხედვით, შესაძლებელია მოკლევადიანი (1 წლამდე) და გრძელვადიანი (20 წლამდე) ტყით სარგებლობა. დაშვებულია შემდეგი სახის ტყითსარგებლობა: მერქნის მოპოვება, პლანტაციური მეურნეობა, სამონადირეო მეურნეობა, არამერქნული რესურსებით სარგებლობა, სპეციალური სარგებლობა (მაგ. წიაღით სარგებლობისას) და სხვ. ამასთანავე ხანგრძლივვადიან სარგებლობას უპირატესობა ენიჭება ხანმოკლესთან შედარებით, ასევე უპირატესობა ენიჭება ტყითსარგებლობის იმ ფორმას, რომელსაც ნაკლები ზეგავლენა აქვს გარემოზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტყის კოდექსი, რომელიც წარმოადგენს ტყითსარგებლობისა და ტყის დაცვის საკითხებში მთავარ მარეგულირებელ აქტს, ფაქტიურად ეწინააღმდეგება როგორც „გარემოს დაცვის შესახებ“ ჩარჩოკანონში დეკლარირებულ პრინციპებს, ისე საქართველოს მიერ რატიფიცირებულ გარემოსდაცვით კონვენციებს და სხვა საერთაშორისო ინიციატივებს. კანონმა ფორმალურად გაიზიარა ბიომრავალფეროვნებისა და სხვა კონვენციების და მდგრადი განვითარების პრინციპები, მაგრამ პრაქტიკულად, ამ პრინციპებს არ შეესაბამება ტყის რესურსების ინვენტარიზაციის, კადასტრის, დაგეგმვისა და განსაკუთრებით ტყის ჭრის მეთოდები და წესები, რომლებიც რეგულირდება კანონქვემდებარე აქტებით. ამის გამო ტყის რესურსების მართვის პრაქტიკა დღემდე არ შეესაბამება მდგრადი განვითარების პრინციპებს. უფრო მეტიც, ამ კანონის ცალკეული დებულებები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან[7].

1999-2004 წლებში სამეურნეო ტყეების მართვას ახორციელებდა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი და ტყითსარგებლობის ყველანაირი დოკუმენტაციის გაცემაც (ხე-ტყის დამზადების ლიცენზია, ხელშეკრულება, ბილეთი, ექსპორტის ნებართვა) მის მიერ გაიცემოდა. ანალოგიურ ფუნქციას დაცულ ტერიტორიებში ახორციელედა დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების სახელმწიფო დეპარტამენტი. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მონაწილეობდა საერთო პოლიტიკის განხორციელებაში (თუმცა პრაქტიკაში ეს საერთოდ არაფერს ნიშნავდა), ასევე გასცემდა სამონადირეო მეურნეობების მოწყობის ლიცენზიებს. ტყითსარგებლობის ძირითადი ფორმა კვლავ იყო ხე-ტყის დამზადება, რომელიც ხორციელდებოდა ერთ წლამდე ვადით გაცემული სანებართვო დოკუმენტაციის (ლიცენზიის ან ბილეთის) საფუძველზე.

1991 წლიდან მოყოლებული უკანონო ჭრებს უზარმაზარი მასშტაბი ჰქონდა. ოფიციალურად ნებადართული იყო ყოველწლიურად დაახლოებით 780000 კბმ ხე-ტყის დამზადება სამასალე მერქნის ჩათვლით. თუმცა სხვადასხვა ოფიციალური წყაროების, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების გათვლებით, ყოველწლიურად იჭრებოდა 2500000-დან 6000000 კბმ-მდე მერქანი[8]. ამ პერიოდში მომზადებული ოფიციალური ანგარიშებისა და კვლევების უმრავლესობაში აღინიშნებოდა, რომ უკანონო ჭრები ხორციელდებოდა საშეშე მერქნის მოპოვების მიზეზით, სოციალურად დაუცველი (ღარიბი) მოსახლეობის მიერ, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. უკანონო ხე-ტყის მოპოვება და ვაჭრობა კარგად დაგეგმილი ბიზნესს წარმოადგენდა, რომელშიც ჩართული იყვნენ სხვადასხვა უწყების მაღალი თანამდებობის პირები.

---

[6] მთავარი სარგებლობის ჭრები — მერქნის მოპოვების სახე

[7] უფრო დაწვრილებით „ტყის კოდექსთან“ დაკავშირებულ საკანონმდებლო კოლიზიების შესახებ იხ. მწვანე ალტერნატივას პუბლიკაციაში — „საქართველოს სატყეო სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი და რეკომენდაციები“, 2006“

[8] არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა მსოფლიო ბანკს საქართველოს სატყეო მეურნეობის პროექტთან დაკავშირებით: http://bankwatch.org/project.shtml?apc=147587-228105—1&x=724295&d=n

ამ ბიზნესში ღარიბი მოსახლეობა უბრალო მუშახელად გამოიყენებოდა. არსებული სიტუაციის დაფარვის მიზნით მიზანმიმართლად ხდებოდა ტყეების განადგურების მათთვის გადაბრალება, თითქოს უკანონო ჭრების უმეტესობა საშეშე მერქნის მოპოვების გამო ხდებოდა. ყოველივე ამის შედეგია ის ფაქტი, რომ ტყის საშუალო სიხშირე კრიტიკულ ზღვრამდეა მისული.

2004 წლიდან, „ვარდების რევოლუციის" შემდგომ პერიოდში, საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შეიცვალა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა. ეს ცვლილებები მთლიანობაში დადებითად შეიძლება შეფასდეს. მაგრამ მათ არ მოჰყვა ადეკვატური ცვლილებები კანონმდებლობაში და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში, რომელთა ჰარმონიზება დღემდე ვერ მოხერხდა. ეს პერიოდი ხასიათდება ხშირი ინსტიტუციური, საკანონმდებლო და საკადრო ცვლილებებით, რაც დაკავშირებულია მთავრობის მიერ აღებულ ეკონომიკის სრული ლიბერალიზაციის და დერეგულაციის კურსთან და სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლების ყველა შესაძლო საშუალებით გაზრდის სურვილთან. კანონმდებლობის ცვლილებები ხორციელებოდა გაუმჭვირვალედ და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გარეშე. შეიზღუდა საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობები [2].

2004 წელს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი გაერთიანდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან. დეპარტამენტის კომპეტენციაში აღარ შედის ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემა – ამ ფუნქციის შესრულება დაეკისრა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებსა და ნებართვების დეპარტამენტს [7].

მთელი ამ ხნის განმავლობაში (ტყის კოდექსის მიღებიდან დღემდე) ტყითსარგებლობის ძირითადი ფორმა იყო მერქნის მოპოვება, რომელიც ხორციელდებოდა ხანმოკლე (ერთწლიანი) ლიცენზიების მეშვეობით. მათ შორის ტყის ჭრა ხდებოდა მოვლითი (სანიტარული) ჭრების საშუალებითაც. ტყითსარგებლობის სხვა სახეობებიც (არამერქნული რესურსების შეგროვება, ძოვება, მერქნიანი მცენარეების პროდუქტების შეგროვება (ძირითადად, სოჭის გირჩა) ხდებოდა მოკლევადიანი ნებართვებით (ბილეთებით).

2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ". ამ კანონის მიხედვით დადგინდა, რომ ტყითსარგებლობა დაიშვება ლიცენზიების საფუძველზე, რომლებიც გაიცემა აუქციონის წესით. დადგენილი იქნა ტყითსარგებლობის ლიცენზიების შემდეგი სახეები: გენერალური ლიცენზია, რომელიც შეიძლება მოიცავდეს: ა) ხე-ტყის დამზადების სპეციალურ ლიცენზიას და ბ) სამონადირეო მეურნეობის შექმნის სპეციალურ ლიცენზიას. ეს სპეციალური ლიცენზიები შეიძლება გაიცეს დამოუკიდებლადაც.

**აუქციონის წესით 2006 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გასცა 500 ერთწლიანი[9] და 1 ოცწლიანი ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია.**

აუქციონის წესით 2006 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გასცა 500 ერთწლიანი[10] და 1 ოცწლიანი ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია.

2007 წლამდე ტყის მართვის სფეროში სხვა მნიშვნელოვანი რეფორმა არ განხორციელებულა.

> ამ პერიოდის საქართველოს სატყეო სექტორი მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს: მართვის ერთეულს წარმოადგენდნენ საბჭოთა სისტემისათვის შექმნილი და შემდომში საბაზრო ეკონომიკაზე ხელოვნურად მისადაგებული სატყეო მეურნეობები, რომლებიც თავის დროზე ორიენტირებული იყვნენ დიდ ცენტრალიზებულ დაფინანსებაზე; ბოლო წლებში დარგის მწირი დაფინანსების გამო პრაქტიკულად აღარ მიმდინარეობდა ტყის მავნებელი დაავადებებისგან დაცვის, ხანძრების პრევენციის, ტყეთმოწყობის, ტყის აღდგენა-განახლებისა და სხვა ღონისძიებები; სატყეო სექტორში დასაქმებული სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასი დაბალი იყო; ინვენტარიზაცია, მონიტორინგი და კადასტრი პრაქტიკულად არ მიმდინარეობდა, რის გამოც არსებული მერქნითი მარაგების, ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობისა და უკანონო ჭრის მასშტაბების შესახებ რეალური სურათი არ არსებობდა; სატყეო მეურნეობებს საკუთარი შემოსავლები არ გააჩნდათ, ვინაიდან სამეურნეო ფუნქციას არ ასრულებდნენ; არსებული მართვის მოდელი და ნაკლოვანი კანონმდებლობა კორუფციის შესაძლებლობებს იძლეოდა; ხე-ტყის ბიზნესს კვლავ აშკარად დიდი მოგება მოჰქონდა ცალკეული ჯგუფებისათვის, კონტროლის მექანიზმები და შესაძლებლობები ჯერ კიდევ ძალზე სუსტი იყო. ასეთი მენეჯმენტი კი იწვევს, ერთი მხრივ, სატყეო მეურნეობის, როგორც დარგის, განადგურებას და, მეორე მხრივ, ტყის ეკოსისტემების დეგრადაციას.

[9] მწვანე ალტერნატივამ შეისწავლა 2006 წელს ერთწლიანი ლიცენზიების გაცემის პრაქტიკა. აღმოჩნდა, რომ 90%-ზე მეტი კანონდარღვევით იყო გამოწერილი: არ იყო სწორად მითითებული მოსაჭრელი რესურსის სახეობა, უფრო მეტიც – სალიცენზიო პირობები შევსებულიც კი არ იყო. ორგანიზაციამ განცხადებით მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურების სამინისტროს, სადაც აღინიშნა რომ ამგვარად გამოწერილი ლიცენზიებით ადვილი იქნებოდა უკანონოდ მოპოვებული მერქნის „დაკანონება". 2008 წელს ასეთი ლიცენზიების მოქმედების ვადა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გააგრძელა. 2008 წ. ბოლოს სწორედ ასეთი ლიცენზიის მფლობელი და სატყეო დეპარამენტის მაღალჩინოსანი დაიჭირა „კუდ"-მა ქრთამის აღება-მიცემის ფაქტზე, როდესაც უკანონო ხე-ტყის დაკანონებაზე იყო საუბარი. დაწვრილებით იხ. [4].

[10] Ibid

კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, აუქციონების სისტემა თეორიულად უკეთესია ტენდერებზე, მაგრამ 2006 წელს გაცემული ლიცენზიებით შეუძლებელი იყო სიტუაციის მნიშვნელოვნად გამოსწორება. ზემოხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე (სუსტი მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმები, არაზუსტი მონაცემებით დადგენილი მოსაპოვებელი ხე-ტყის ოდენობა და მდებარეობა), არ არსებოდა წინაპირობა უკანონო ჭრებისა და ტყის ეკოსისტემების დეგრადაციის ტენდენციის შესამცირებლად. ამასთანავე, სალიცენზიო პირობები პრაქტიკულად არ დადგენილა. მხოლოდ ცალკეული დამსჯელი ღონისძიებებით ასეთი პრობლემების გადაჭრა და სიტუაციის გამოსწორება სერიოზული რეფორმის გარეშე შეუძლებელი იყო.

**2007 წლის 1 მაისს აუქციონი ჩატარდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში. გაიყიდა ხე-ტყის დამზადების 3 სპეციალური 20-წლიანი ლიცენზია.**

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ 2007 წელი კიდევ ერთხელ გამოაცხადა „სატყეო რეფორმის წლად“. რეფორმის იდეა შემდეგში მდგომარეოდა: სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა გათავისუფლებულიყო ტყეების მართვის ვალდებულებისაგან და შესაბამისი ხარჯებისაგან. მას უნდა ჰქონოდა მხოლოდ ლიცენზიების გაყიდვისა და კონტროლის ფუნქციები. ამისათვის გადაიდგმებოდა შემდეგი ნაბიჯები:

1. ტყეების დიდი ნაწილი უნდა გაცემულიყო ხანგრძლივვადიანი ლიცენზიებით; ლიცენზიის მოქმედების მაქსიმალური ვადა 20-დან 50 წლამდე უნდა გაზრდილიყო;
2. 2005-2006 წლებში სამინისტროს ბევრი თავის ტკივილი გაუჩინა ადგილობრივი მოსახლეობის შეშით მომარაგებამ[11]. ამიტომ გადაწყდა, რომ ტყეების ნაწილი გადასცემოდა ადგილობრივ თვითმმართველობებს და ამ ტყეების ხარჯზე მომხდარიყო მოსახლეობის მომარაგება. ამით, სამინისტრო, ერთი მხრივ, არასასურველი ხარჯებისაგან გათავისუფლდებოდა, ხოლო, მეორე მხრივ – საზრუნავი მოაკლდებოდა;
3. ტყეების გარკვეული ნაწილი გადაეცემოდა საქართველოს საპატრიარქოს[12].

„რეფორმის“ ავტორთა წარმოდგენით, ლიცენზირებულ, საპატრიარქოს და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში (რასაც, მათი აზრით, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ტყეების უმეტესობა უნდა შეედგინა) აღარ იქნებდა საჭირო სახელმწიფოს მიერ დაცვითი ღონისძიებების და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება (ტყეთმოწყობა, ტყეკაფების გამოყოფა, სანებართვო დოკუმენტაციის გაცემა, ხანძრების პრევენცია, გზების გაყვანა-რეაბილიტაცია, ტყის აღდგენა-განახლება და ა.შ.). შესაბამისად, არსებული რაოდენობით თანამშრომელთა ყოლაც არ იქნებოდა საჭირო და შესაძლებელი იქნებოდა მათი შემცირება. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის სტრუქტურული ცვლილებები და შემცირებები ისე დაიწყო, თითქოს წინა ეტაპები უკვე გავლილი იყო და ტყეების უმეტესი ნაწილის მართვის ვალდებულება დელეგირებული იყო კერძო სექტორზე, მუნიციპალიტეტებზე და საპატრიარქოზე. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს ეწოდა „სატყეო დეპარტამენტი“, შეიცვალა მისი შიდა სტრუქტურა, შემცირდა ცენტრალური აპარატი, გაკეთდა დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების რეორგანიზაცია: სატყეო მეურნეობები გაუქმდა და შეიქმნა 10 რეგიონალური სატყეო სამმართველო, რომლებშიც გაერთიანდა ყოფილი სატყეო მეურნეობების საზღვრებში შექმნილი სატყეო უბნები. მთლიანობაში დეპარტამენტის სისტემაში არსებული 1694 შტატი შემცირდა 682-მდე. ამ შემცირების შედეგად მომსახურეთა საშუალო ხელფასი გაიზარდა 2,4-ჯერ. მეტყევის (რეინჯერის) ხელფასმა შეადგინა 400 ლარი. თითოეული რეინჯერის სამოქმედო არეალმა შეადგინა 4,5-5 ათასი ჰექტარი (რეინჯერს ევალება ამ ფართობზე უზრუნველყოს უკანონო ტყითსარგებლობის აღკვეთა, სანებართვო დოკუმენტაციის გაცემა-შემოწმება, ხანძრებისა და ტყის დაავადებების პრევენცია და ა.შ, რაც სავსებით არარეალურია). თანაც კორუფციასთან ბრძოლის საბაბით სამსახურიდან დაითხოვეს სატყეო განათლებისა და ამ სექტორში მუშაობის გამოცდილების მქონე პირების უმეტესობა. მათი თანამდებობები დაიკავეს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა. ყველაზე საინტესოა, რომ დასაქმდნენ ყოფილი ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები (პროკურატურა, შსს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი), რომლებიც წინა წლებში ასევე კორუფციასთან ბრძოლის „ეგიდით“ ჩატარებული საკადრო წმენდის შედეგად დაითხოვეს სამსახურებიდან.

ე.წ. „რეფორმა“ რამდენიმე მიმართულებით და საკმაოდ სწრაფად უნდა განვითარებულიყო:

1. ტყეების ფუნქციური დიფერენციაცია – უნდა დასრულებულიყო თებერვლის ბოლომდე (ანუ დაახლოებით ერთ თვეში);
2. საკანონმდებლო უზრუნველყოფა – რეფორმის იდეის ავტორთა გათვლებით, ახალი „ტყის კოდექსის“ პროექტი 2007 წლის აპრილის ბოლოს იქნებოდა მზად, ხოლო წლის ბოლომდე დამტკიცდებოდა კიდეც;
3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, რაც გულიხმობდა შემდეგ ქმედებებს: ოფისების აშენება/აღჭურვას, ცხენების, მანქანების, უნიფორმების და სხვა ინვენტარის შეძენას.

ამ ჩამონათვლიდან უსახსრობისა და ღონისძიებების არასწორი დაგეგმვის გამო მხოლოდ მცირე ნაწილი განხორციელდა[13]. სამაგიეროდ, დაიწ-

---

[11] ეს საკითხი აღწერილია მწვანე ალტერნატივის სატყეო სექტორის 2005-2006 წ. მონიტორინგის ანგარიშში „საქართველოს სატყეო სექტორის პრობლემები: უკანონო ქმედებები და კანონთა შორის კოლიზიები“, 2006 [10].

[12] იხ. საქართველოს სატყეო პოლიტიკის პროექტი სატყეო დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.forestry.gov.ge

[13] მსოფლიო ბანკს მხოლოდ 2007 წლის აპრილში მიეწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რეფორმით განსაზღვრული ქმედებებისათვის შესყიდვების განხორციელება იგეგმებოდა მათი „სატყეო სექტორის განვითარების პროექტის“ სახსრებით. მსოფლიო ბანკს დამტკიცებული პროექტის ცვლილების რთული და მწყობრი პროცედურა აქვს. არსებული ხელშეკრულების პირობების შესრულებლობის გამო ბანკმა ჯერ შეაჩერა პროექტი, შემდეგ კი შეწყვიტა (დაუხარჯავი დარჩა და დაიბრუნა 11 მლნ. დოლარი). [4]. ასევე იხ.: www.greenalt.org; www.forestgeo.net

ყო ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემის კამპანია.

ტყითსარგებლობის ყველაზე მასშტაბური აუქციონი გამოცხადდა 2007 წლის შემოდგომაზე. აუქციონზე გატანილი იყო ტყით სარგებლობის 28 ლიცენზია საქართველოს 20 რაიონში; გასაცემი სატყეო ფართობები ჯამში 364 262 ჰა-ს შეადგენდა, მოსაპოვებელი წლიური კვოტა – დაახლოებით 400 000 კუბურ მეტრს. აუქციონის გამართვა თავდაპირველად 2007 წ. დეკემბერში იყო დაგეგმილი, მაგრამ, საბოლოოდ, 2008 წ. თებერვალში გადაიტანეს. მწვანე ალტერნატივამ აუქციონის გაუქმების მოთხოვნით სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. 2008 წლის 29 იანვარს გამოიცა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის დავით ჩანტლაძის ბრძანება, რომლითაც ეს აუქციონი გაუქმდა.

2008 წლის მარტში ტყითსარგებლობის ლიცენზიების გაცემის ფუნქცია ჩამოერთვა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და გადაეცა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

მორიგი აუქციონი გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით უკვე ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 2008 წლის 4 და 5 სექტემბერს გამოაცხადა (გაიმართა 2008 წლის 7 და 8 ოქტომბერს). აუქციონზე გაიყიდა 9 ლიცენზია.

2008 წლის 10 ნოემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მორიგი ბრძანება, რომლითაც გამოცხადდა აუქციონი გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემის მიზნით. აუქციონზე გამოტანილი იყო 64 ლოტი, რაც მთელი საქართველოს მასშტაბით მოიცავდა 165 752 ჰა-ს. აუქციონი დაინიშნა 2008 წლის 11 დეკემბერს. მინისტრის ბრძანებით, აუქციონი გაუქმდა მისი ჩატარების დღეს.

ყველა აუქციონის გამოცხადებასა და ჩატარებას თან ახლდა საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევები: ირღვევა მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებსაც უშუალო ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მათ საცხოვრებელ გარემოზე. დარღვევით დგინდება ტყითსარგებლობის პირობები, მათ შორის მოპოვების კვოტები; სალიცენზიო პირობები ვერ უზრუნველყოფს ტყის ეკოსისტემების დეგრადაციისაგან დაცვას; ხე-ტყის დამზადებისათვის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ამ ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან დაკავშირებული მიზანშეწონილობის შეფასების გარეშე[14]. აქედან გამომდინარე, ტყის მოჭრის მიზნით 2006 და 2007 წლებში ლიცენზიები გაიცა განსაკუთრებით მაღალი კონსერვაციული (გარემოსდაცვითი) ღირებულებებისა და ეკოლოგიურად სენსიტიურ ტყეებში; გაურკვეველია აუქციონის საწყისი ფასის დადგენის პროცედურა და მეთოდიკა.

ამრიგად, 2009 წლის მარტისათვის მოქმედია ხე-ტყის დამზადების სპეციალური ხანგრძლივვადიანი 12 (20-წლიანი) ლიცენზია. მათგან 1 გაცემულია 2006 წლის აგვისტოში, 2 – 2007 წლის მაისში, 9 – 2008 წლის ოქტომბერში. (2007 წლის 1 მაისის აუქციონის შედეგად ფ/პ ემილ რეინერსზე გაცემული ერთი ლიცენზია გაუქმდა პირობების შეუსრულებლობის გამო). ამ 12-დან 6 ეკუთვნის ქართულ-ჩინურ კომპანია შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო. ლტდ-ს", რომელსაც კონკურენტი არ ჰყოლია არც ერთ აუქციონზე გამართულ ვაჭრობაში. ამ ორგანიზაციაში დასაქმებული არიან ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სატყეო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლები, ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები.

**2007 წლის 1 მაისს აუქციონი ჩატარდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში. გაიყიდა ხე-ტყის დამზადების 3 სპეციალური 20-წლიანი ლიცენზია.**

დღეისათვის საქართველოს ტყეები მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაშია. სახელმწიფო ტყის ფონდი გარემოს დაცვისა და ბუნებრვი რესურსების სამინისტროს გამგებლობაშია, მათ შორის: სატყეო დეპარტამენტი მართავს ტყეების 84%-ს, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი – დაახლოებით 9%-ს. მცირე რაოდენობით ტყის ფართობები, მიჩენის წესით[15] გადაცემული აქვს საქართველოს საპატრიარქოს. დანარჩენი ტყეების კუთვნილება გაურკვეველია[16].

## 3. სატყეო პოლიტიკა და სატყეო სექტორის რეფორმა

საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმირების აუცილებლობაზე საუბარი გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო. კონსტიტუციის მიღებისა და ახალი კანონმდებლობის საფუძვლების ჩამოყალიბების შემდეგ სახელმწიფომ დაიწყო საბჭოური ტიპის სატყეო მეურნეობებიდან საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ინსტიტუციებად გარდაქმნისათვის მზადება. ამისათვის შემუშავდა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული „საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების" პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სატყეო სექტორის რეფორ-

---

[14] აღნიშნული საკითხი შესულია საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში (www.ombudsman.ge)

[15] მიჩენის წესით ტყეების გადაცემა ხდება, ტყის კოდექსის მიხედვით, პრეზიდენტის ბრძანებულებების საფუძველზე 20 წლამდე ვადით. ეს ვადა ამოწურვამდე შესაძლებელია გახანგრძლივდეს. მიჩენილი ტყეები სახელმწიფო საკუთრებაა.

[16] ძირითადად ეს არის ე.წ. ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები, რომელთა ფიზიკურად გადაცემა კოლმეურნეობების დაშლის შემდგომ პერიოდში სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ბალანსზე არ განხორციელებულა.

მირება, მართვის გაუმჯობესება და ინსტიტუციური გაძლიერება. ამ პროექტის დაწყების ერთგვარი წინაპირობა იყო ახალი „საქართველოს ტყის კოდექსის“ მიღება, რომელიც საკმაოდ დაჩქარებული პროცედურებით დაამტკიცა პარლამენტმა 1999 წელს.

**დღეისათვის საქართველოს ტყეები მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაშია. სახელმწიფო ტყის ფონდი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გამგებლობაშია, მათ შორის: სატყეო დეპარტამენტი მართავს ტყეების 84%-ს, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი – დაახლოებით 9%-ს. მცირე რაოდენობით ტყის ფართობები, მიჩენის წესით გადაცემული აქვს საქართველოს საპატრიარქოს. დანარჩენი ტყეების კუთვნილება გაურკვეველია.**

როგორც ზევით ალვნიშნეთ, საქართველოში არაერთხელ დაწყებულა „სატყეო სექტორის რეფორმა“ და ამ სექტორთან დაკავშირებული პოლიტიკისა და სტრატეგიის განმსაზღვრელ დოკუმენტებზე მუშაობა. სამწუხაროდ, ამ ე.წ. „რეფორმის“ არსი და მიმართულება იცვლებოდა მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული და რაც ყველაზე უარესია, საკადრო (სახელმწიფო ბიუროკრატიის საშუალო დონეზეც კი) ცვლილებების შესაბამისად. დღემდე შექმნილია „სატყეო საქტორის რეფორმის“/„ეროვნული სატყეო პოლიტიკის“ რამდენიმე პროექტი თუ კონცეფცია, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დამტკიცებულა. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ჯერ იქმნებოდა რეფორმის მოდელი, იწყებოდა ამ „რეფორმის“ ცალკეული ელემენტების განხორციელება, ინსტიტუციური და საკადრო ცვლილები და მხოლოდ ამის შემდეგ – ეროვნულ სატყეო პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა. ეს კი, როგორც წესი, გამოიხატებოდა პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების მისადაგებაში უკვე მიღებულ საკადრო ან ტყეების სამრეწველო გამოყენებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებთან. აქედან გამომდინარე, ასეთი დოკუმენტების მომზადების დემოკრატიულობის ხარისხი, რბილად რომ ითქვას, სრულიად არადამაკმაყოფილებელი იყო.

თითოეული კონცეფციის შინაარსსა და შემუშავების პროცესზე ამ კვლევაში დაწვრილებით არ შევჩერდებით[17], მაგრამ მოკლედ მიმოვიხილავთ მათ ძირითად შინაარსს:

1. სატყეო სექტორის რეფორმირების პირველი მოდელი შეიქმნა 2003 წელს. ამ პერიოდში ტყეების მართვაზე პასუხისმგებელი იყო სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი (დამოუკიდებელი უწყება, რომელიც არ შედიოდა არც ერთი სამინისტროს შემადგენლობაში). რეფორმა გულისხმობდა კომერციული სახელმწიფო სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელიც შეასრულებდა სამეურნეო სამუშაოებს.
2. 2004 წელს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა მოამზადა რეფორმის კონცეფცია. რეფორმის შედეგად, უნდა შექმნილიყო სატყეო ურთიერთობების ახალი სუბიექტი – სახელმწიფო სააქციო საზოგადოება – სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, რომელიც გახდებოდა სამეურნეო ტყეების მართვაზე უფლებამოსილი ორგანო (კომერციული სტრუქტურა). სააქციო საზოგადოება განახორციელებდა სამეწარმეო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად: ტყეები დაიყოფოდა სხვადასხვა კატეგორიებად დანიშნულებისა და ფუნქციის მიხედვით – მაღალი კატეგორიის, პროდუქტიულობით გამორჩეულ და დაცვის ფუნქციის მატარებელ ტყეებად. რეფორმის შედეგად კუთვნილების მიხედვით დადგინდებოდა სათემო, მუნიციპალური და სახელმწიფო ტყეები; ტყითსარგებლობის ფორმა იქნებოდა გრძელვადიანი იჯარა, რომელიც შემდგომში შეიძლება ტრანსფორმირებულიყო კერძო საკუთრებად. ასევე იქმნებოდა სატყეო ბირჟა. მთლიანობაში, მართვის ეს მოდელი ჰგავდა ევროპის ქვეყნებში არსებულს, თუმცა ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ხასიათის არსებითი მომენტები დაუმუშავებელი და დაუზუსტებელი იყო.
3. 2005 წელს განხორციელებული სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ცვლილების შედეგად კვლავ შეიცვალა რეფორმის აქცენტი. ახალი რეფორმის კონცეფციის დოკუმენტი – „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პოზიცია სახელმწიფო ტყეების მართვისა და რესურსებით სარგებლობის რეფორმირებასთან დაკავშირებით“ – გამოქვეყნდა 2006 წლის დასაწყისში. სახელმწიფო სააქციო საზოგადოების იდეა უარყოფილ იქნა. ტყითსარგებლობის ძირითად ფორმად კვლავ მიჩნეული იყო გრძელვადიანი იჯარა. ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფოს განზრახული აქვს, ტყეების მაქსიმალური რაოდენობა იჯარის ფორმით გადასცეს კერძო სექტორს. იჯარა მომავალში შეიცვლებოდა კერძო საკუთრებით. დოკუმენტში რეფორმის თვალსაზრისით სამაგალითო ქვეყნებად დასახელებული იყო აფრიკის, ლათინური ამერიკისა და აზიის ქვეყნები, რუსეთი და კანადა. წინა რეფორმის კონცეფციასთან შედარებით ახალში იყო არსებითი განსხვავება: აღარ შეიქმნებოდა სახელმწიფო კომერციული სტრუქტურა, რადგან ის მოიაზრებოდა, როგორც კორუფციის ახალი წყარო და პოტენციური მონოპოლისტი. ამ კონცეფციას უამრავი ხარვეზი ჰქონდა: არ იყო მოფიქრებული, ვის უნდა ემართა ის ტყეები, რომელთა იჯარით გაცემაც ვერ მოხერხდებოდა, როგორ უნდა გატარებულიყო კონსერვაციული ღონისძიებები, პირადი მოხმარების მიზნით მოსახლეობის მერქნით დაკმაყოფილება და სხვ. დოკუმენტში ბევრი საინტერესო და საყურადღებო მომენტი იყო განხილული, მაგრამ დაგეგმილი ღონისძიებები/დასახული ქმედებები არ იყო პრობლემის განხილვისა და ანალიზის შედეგების ადეკვატური. მაგ.: დოკუმენტი გულისხმობდა საქართველოს ტყეების კლასებად დაყოფას/კატეგორიზაციას „ევროპის სატყეო სექტორთან დაკავშირებული მინისტრთა კონფერენციის“ (MCPFE) ვენის

[17] ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. მწვანე ალტერნატივას პუბლიკაციებში www.greenalt.org/publications

რეზოლუციის მიერ შემოთავაზებული სქემის მიხედვით (იხ. [16]), რაც მისასალმებელია; მაგრამ, ამავდროულად, ტყეების კლასებად დაყოფა გაიგივებული იყო საკუთრების ფორმებთან, შესაბამისად, დაშვებული იყო დაცული ტერიტორიების კერძო საკუთრებაში გადაცემა; გარდა ამისა, აღნიშნული იყო, რომ „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკმარისი ინფორმაცია უნდა გააჩნდეს ტერიტორიის თაობაზე იმისთვის, რომ ფასები, შეზღუდვები და ვალდებულებები განსაზღვროს“. „ ... სასურველია კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ თავად ჩაატაროს ინვენტარიზაცია. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო გაწეულ დანახარჯებს ტენდერში მონაწილეობასთან დაკავშირებით დაწესებული გადასახადიდან ამოიღებს“; ხოლო დასკვნა კი იყო შემდეგნაირი: „გადასაცემად დანიშნული ტერიტორიის დეტალური ინვენტარიზაციის ჩატარება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მხრიდან საჭირო არაა“. დოკუმენტს მოსდევდა მოქმედებათა სავსებით არარეალური გეგმა. აღნიშნული რეფორმის კონცეფციაში იმდენად ბევრი იყო სუსტი მხარე, რომ ის მწვავედ გააკრიტიკეს ექსპერტებმა, რის შედეგადაც საბოლოოდ უარყოფილი იქნა.

4. 2006 წლის ზაფხულის დასაწყისში სამინისტროს მიერ შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა „საქართველოს სატყეო პოლიტიკის კონცეფცია.“ ამ კონცეფციის დამტკიცების შემდგომ და მის საფუძველზე უნდა შექმნილიყო საქართველოს სატყეო პოლიტიკა და სტრატეგია.
5. 2006 წლის შემოდგომაზე კვლავ სამთავრობო ცვლილებების შემდეგ გამოქვეყნდა ახალი დოკუმენტი – „საქართველოს სატყეო პოლიტიკა და სტრატეგია“. ეს იყო ორი დოკუმენტის: „საქართველოს სატყეო პოლიტიკის საფუძვლებისა“ და სამინისტროს მიერ 2006 წლის დასაწყისში გავრცელებული „რეფორმის კონცეფციის“ ნაზავი. ამ დოკუმენტსაც არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან არგუმენტირებული კრიტიკა მოჰყვა, რის შემდეგაც ის საერთოდ დავიწყებას მიეცა.
6. 2007 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ე.წ. „სატყეო რეფორმის“ დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ დონორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ლობირების შედეგად განაახლა სატყეო პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა. 2007 წლის ზაფხულში დაიწყო პროექტის საჯარო განხილვა. წარმოდგენილ დოკუმენტს ეწოდებოდა „საქართველოს სატყეო პოლიტიკა“. ამ დოკუმენტის მიხედვით, საქართველოში ტყეებზე საკუთრების ფორმები უნდა ჩამოყალიბებულიყო შემდეგი სახით:
    1. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სატყეო ფონდის ტერიტორიები. მათი ნაწილი აუქციონის წესით ხანგრძლივვადიან სარგებლობაში გადაეცემოდა ხე-ტყის დამზადების კერძო საწარმოებს, ასევე გამოიყენებოდა სამონადირეო მეურნეობებისა და ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად და სხვა მიზნებისათვის;
    2. ავტონომიური რესპუბლიკების მართვაში არსებული სატყეო ფონდის ტერიტორიები;
    3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მართვაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის სატყეო ფონდის ტერიტორიები;
    4. საპატრიარქოს მართვაში არსებული სატყეო ფონდის ტერიტორიები;

**შექმნილია „სატყეო საქტორის რეფორმის“/ „ეროვნული სატყეო პოლიტიკის“ რამდენიმე პროექტი თუ კონცეფცია, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დამტკიცებულა. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ჯერ იქმნებოდა რეფორმის მოდელი, იწყებოდა ამ „რეფორმის“ ცალკეული ელემენტების განხორციელება, ინსტიტუციური და საკადრო ცვლილები და მხოლოდ ამის შემდეგ – ეროვნულ სატყეო პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა... ასეთი დოკუმენტების მომზადების დემოკრატიულობის ხარისხი, რბილად რომ ითქვას, სრულიად არადამაკმაყოფილებელი იყო.**

სახელმწიფოს აქცენტი უნდა გადაეტანა ხანგრძლივვადიან ტყითსარგებლობაზე ლიცენზიების ფორმით. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და საქართველოში მდგრადი მეტყევეობის განვითარებისათვის გაცხადებული იყო სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) სახელმძღვანელო პრინციპების დამკვიდრება.

2007 წლის სექტემბერში გაკეთებულ ყოველწლიურ მოხსენებაში პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობამ მოიწონა „საქართველოს სატყეო პოლიტიკის“ დოკუმენტი და უახლოეს ხანებში შეიტანდა პარლამენტში დადგენილებით დასამტკიცებლად. თუმცა პარლამენტში დოკუმენტი არ შესულა და არც მთავრობას გამოუცია რაიმე აქტი საქართველოს „სატყეო პოლიტიკის პროექტის“ მოწონებასთან დაკავშირებით.

2007 წლის ზაფხულში დაიწყო ახალ ტყის კოდექსზე მუშაობა, რომლის პროექტიც განსახილველად წლის ბოლოს გამოქვეყნდა. 2008 წლის იანვარში სამინისტრომ მხოლოდ ერთი განხილვა მოაწყო, რის შემდეგაც ტყის კოდექსზე მუშაობაც შეწყდა და სატყეო პოლიტიკის პროექტიც დავიწყებას მიეცა.

2008 წლის ბოლოს – 2009 წლის დასაწყისში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ახალმა მინისტრმა გოგა ხაჩიძემ განაცხადა, რომ სამინისტრო აპირებს მნიშვნელოვან ცვლილებას სატყეო პოლიტიკაში. ახალი ხედვა გულისხმობს სახელმწიფო სატყეო-სამეურნეო ერთეულის (სახელმწიფო შპს ან საქციო საზოგადოების ფორმით) შექმნას, რომელსაც სამართავად გადაეცემა სახელწიფო ტყეების ნაწილი. ასეთი რეფორმა ჯერ ექსპერიმენტის სახით უნდა განხორციელდეს რამდე-

ნიმე რაიონში. გაკეთდა განცხადება, რომ სამინისტრო შექმნის 20 კაციან ჯგუფს, რომელიც ერთი წლის მანძილზე მოახდენს ტყეების საერთო ინვენტარიზაციას (იხ. სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე www.moe.gov.ge გამოქვეყნებული მინისტრის განცხადება სატყეო რეფორმის ახალ კურსთან დაკავშირებით). მინისტრმა განაცხადა, რომ მომავალში უნდა მოხდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფაც, მაგრამ მიაჩნია, რომ მანამდე აუცილებელია ტყეების ინვენტარიზაციის ჩატარება, თვითმმართველობებისათვის უფლებამოვალეობების ზუსტი განსაზღვრა და ტყითსარგებლობის წესების ჩამოყალიბება.

## 4. სატყეო სექტორის დეცენტრალიზაციის მცდელობა

ცალკე გვინდა შევეხოთ ადგილობრივი თვითმართველობებისათვის ტყის ფონდის გადაცემის საკითხსაც.

საქართველოს დღევანდელ კანონმდებლობაში ჩადებულია სატყეო სექტორის დეცენტრალიზაციის საფუძვლები, კერძოდ, „საქართველოს ტყის კოდექსში“ (1999) და საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (2005) [7].

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთ ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვა“.

„საქართველოს ტყის კოდექსის“ მე-5 მუხლში „ადგილობრივი ტყის ფონდი“ განმარტებულია შემდეგნაირად: „სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ნაწილი, რომელთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ამ კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არეგულირებენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები“. კოდექსის მე-13 მუხლის მიხედვით, ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება:

„ა) ტყეების მოვლის, დაცვის, აღდგენისა და ტყის ხანძრებთან ბრძოლის ღონისძიებების ხელშეწყობა;
ბ) უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ადგილობრივი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელებისთვის ხელშეწყობა;
გ) ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაში მონაწილეობა და მათ მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვის კონტროლი;
დ) ადგილობრივი ტყის ფონდით სარგებლობის მიზნით ტყითსარგებლობის ბილეთის გაცემა;
ე) უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისთვის ტყითსარგებლობის შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ წინადადებების წარდგენა;
ვ) სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;
ზ) მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების უზრუნველყოფა;
თ) უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისთვის სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საზღვრების შეცვლის შესახებ წინადადებების წარდგენა;
ი) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება“.

კოდექსის მე-14 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ტყის ფონდი ინსტიტუციური მართვის თვალსაზრისით იყოფა სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებად და სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდად, რომელიც მოიცავს ადგილობრივ ტყის ფონდსაც (თუმცა, იურიდიული თვალსაზრისით, სწორი არ არის ადგილორივი ტყის ფონდის სახელმწიფო ტყის ფონდის ნაწილად მოხსენიება). კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ადგილობრივ ტყის ფონდს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით შესაბამისი სამსახურის მეშვეობით მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები. სხვა უფლება-ვალდებულებები ადგილობრივი ტყეების მართვასთან დაკავშირებით განსაზღვრულია მხოლოდ ტყის კოდექსის გარდამავალ დებულებებში (მუხლი 115): აკრძალულია ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწებზე კერძო საკუთრების უფლების დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტის გაცემა; ყოფილ საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მოვლისა და დაცვის ღონისძიებების განხორციელება ევალებათ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ მათ მართვას (შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები). ამავე კოდექსის მიხედვით, უნდა შემუშავებულიყო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილების, სახელმწიფო ტყის ფონდისგან ადგილობრივი ტყის ფონდის გამიჯვნის წესის შესახებ“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პერიოდისათვის არ იყო სრულად განხორციელებული ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების სახელმწიფოზე გადაცემა. ამის გამო, კოდექსის თანახმად, უნდა შემუშავებულიყო პრეზიდენტის სხვა ბრძანებულება („ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემის წესის და ვადების შესახებ“), რომლითაც დადგიდებოდა ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემის წესი და ვადები[18]. გამოდიოდა, რომ ერთი და იმავე კანონის მიხედვით ერთი და იგივე ტყის ფართობები ჯერ გადაეცემოდა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებს, შემდეგ კი მათ ჩამოერთმეოდათ და უკან გადაეცემოდათ ადგი-

[18] დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის 2000 წ. 12 სექტემბრის №404 ბრძანებულებით.

ლობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს. უფრო მეტიც, ამ დებულების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ატარებდნენ გარკვეულ ორგანიზაციულ სამუშაოებს იმისათვის, რომ ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები გადასცემოდა სახელმწიფო ორგანოებს[19].

ტყის კოდექსს უკვე მიღების მომენტში საკმაოდ ბევრი ნაკლი ჰქონდა, იყო კოლიზიები როგორც საქართველოს კანონებთან და საერთაშორისო კონვენციებთან მიმართებაში, ისე ამ კანონის სხვადასხვა დებულებას შორის. მისი მიღებიდან თითქმის 10 წელი გავიდა და ამ პერიოდში ეს შეუსაბამობები კიდევ უფრო გაღრმავდა. შეიცვალა თვითმმართველობის სისტემა, საერთოდ გაუქმდა ადგილობრივი მმართველობა; „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონმა და მისგან გამომდინარე აქტებმა შეცვალა ტყითსარგებლობის წესები. ძირფესვიანად შეიცვალა სატყეო სექტორის ინსტიტუციური მოწყობაც. ამგვარი არასრულყოფილი და წინააღმდეგობრივი საკანონმებლო ბაზის ფონზე სატყეო სექტორის დეცენტრალიზაციის კუთხით პრაქტიკული ღონისძიებები 2007 წლამდე არ იყო გატარებული და საქართველოს ტყეები კვლავ სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა. მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი პოლიტიკური ნების არარსებობა იყო. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფისა და თვითმმართველ ერთეულებზე გადაცემის შესახებ განცხადება საქართველოს მთავრობამ 2007 წლის დასაწყისში გააკეთა. ამ საკითხის აქტუალიზაცია დააჩქარა წინა წლებში ადგილობრივი მოსახლეობის მერქნული რესურსებით მომარაგებაში წარმოშობილმა პრობლემებმა.

2007 წლის 23 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო №105 დადგენილება „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის განსაზღვრის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობზე. ამ დადგენილებაში აღინიშნა, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 30 ოქტომბრამდე უნდა უზრუნველეყო ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის გადაცემული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყეკაფვების გამოყოფის სამუშაოთა განხორციელება; იგულისხმებოდა, რომ ამ პერიოდისათვის გადაცემის პროცესი დასრულებული უნდა ყოფილიყო[20].

აღნიშნული დებულება ძალზე ზოგადია და მასში ბევრი რამ არის დაუზუსტებელი. დებულების მიზნად დასახელებულია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებათა დადგენა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის განსაზღვრის სფეროში. თუმცა, ტექსტში აღწერილია მხოლოდ სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულების როლი ადგილობრივი ტყის ფონდის განსაზღვრისას და ერთი სიტყვაც კი არ არის თქმული გამიჯვნის საკითხში ადგილობრივი თვიმმართველობების უფლებამოსილებების შესახებ. არც ერთი სხვა ნორმატიული აქტით არ არის განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებანი ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში[21].

**ტყის კოდექსს უკვე მიღების მომენტში საკმაოდ ბევრი ნაკლი ჰქონდა, იყო კოლიზიები როგორც საქართველოს კანონებთან და საერთაშორისო კონვენციებთან მიმართებაში, ისე ამ კანონის სხვადასხვა დებულებას შორის.**

მთავრობის გადაწყვეტილება თვითმმართველობებისა და სახელმწიფო რწუნებულებისთვისაც კი საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა. პრობლემები ასე შეიძლება შევაჯამოთ:

- ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების უმეტესი ნაწილი განადგურებული იყო;
- უკანონო ჭრების ფაქტების უმეტესობა არ იყო აღრიცხული;
- გადასაცემად განსაზღვრულ ტყეებში ინვენტარიზაცია (ტყეთმოწყობა) არ იყო ჩატარებული, არ იყო შეფასებული მერქნული მარაგები;
- თვითმმართვლობებს არ გააჩნდათ ადგილობრივ ტყის ფონდის სამართავად საჭირო ფინანსური რესურსები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მომზადებული კადრები (ადამიანური რესურსები);
- არ იყო გამიჯნული საკანონმდელო დონეზე ადგილობრივი ტყის მართვის სფეროში თვითმმართველობის უფლება-ვალდებულებების განსაზღვრისა და ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებები;
- გაურკვეველი იყო, ვისი დაფინანსებით ჩატარდებოდა ტყეების მიღება-ჩაბარების პროცესი – სახელმწიფოსი თუ თვითმმართველობისა. ამ პროცესის ფორმა და პროცედურა არ იყო დადგენილი.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო თვითმმართველობებმა უარი განაცხადეს ეტვირთათ ასეთი პასუხისმგებლობა და გადაებარებინათ სახელმწიფო ტყის ფონდის ნაწილი. მათ მოახერხეს ამ საკითხში საკუთარი ინტერესების დაცვა პრეზიდენტის რწმუნებულების – გუბერნატორების მეშვეობით. ამ ეტაპზე ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის ტყეების გადაცემის პროცესი აღარ განიხილება.

---

[19] დებულებით განსაზღვრულია, რომ გადასაცემი ტყის ფონდის (ანუ ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის) მიწების გამიჯვნა ხდება საქართველოს სახელმწიფო სამეურნეოტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ 12.09.2000. §„–403 პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი წესით, რომელიც ტყის კოდექსს არ შეესაბამება.

[20] ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის გადასაცემად განისაზღვრა დაახლოებით 800 ათასი ჰა ტყის ფართობი, რომელიც შედგება ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისგან (დაახლოებით 500 ათასი ჰა) და მათი მიმდებარე სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიებისგან.

[21] მთავრობის დადგენილებით შეუძლებელიც არის განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებები. სწორი იქნებოდა, ამ დებულების ძალაში შესვლა მომხდარიყო პრეზიდენტის ბრძანებულებით და არა მთავრობის დადგენილებით, როგორც ეს ორგანულ კანონში ჩაიწერა.

## 5. საქართველოს სატყეო სექტორთან დაკავშირებული პრობლემები

სატყეო სექტორთან დაკავშირებული პრობლემები ძალზე კომპლექსური და მრავალწახნაგოვანია და მოიცავს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, სოციალურ და სხვა მრავალ ასპექტს, დაკავშირებულია გაუმართავ კანონმდებლობასთან, მონიტორინგისა და კადასტრის არარსებობასთან, თანამედროვე სატყეო განათლებისა და კადრების დეფიციტთან, ინტერესთა კონფლიქტებთან, კორუფციასთან, კონტროლის სისუსტესთან და ა.შ.

შევეცდებით დავაჯგუფოთ და მოკლედ დავახასიათოთ ეს პრობლემები:

# ბუნდოვანი სალიცენზიო პირობები

### 5.1. ტყითსარგებლობის სფეროში არსებული პრობლემები და მათი განმაპირობებელი ფაქტორები:

• **ბუნდოვანი სალიცენზიო პირობები:** საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ტყითსარგებლობა უნდა ხორციელდებოდეს ტყეთმოწყობის (ტყეების ინვენტარიზაციის) მონაცემების საფუძველზე, რომელიც უნდა განახლდეს მინიმუმ 10 წელიწადში ერთხელ. ტყეთმოწყობის საფუძველზე დგინდება ტყის ფონდის საზღვრები (ფართობები), სახეობრივი შემადგენლობა, მერქნითი მარაგები, მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და ოდენობა (კვოტები), ტყით სარგებლობის ეკოლოგიური მოთხოვნები, ტყის დაცვის, მოვლის, კვლავწარმოებისა და სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვის ღონისძიებები და ა.შ. დღესდღეობით საქართველოში, როგორც წესი, აუქციონზე გამოდის ისეთი სალიცენზიო ობიექტები, რომლეზეც ტყეთმოწყობის ვადა გასულია. ეს წარმოქმნის შემდეგ პრობლემებს: ინვესტორებს მიეწოდებათ არასწორი მონაცემები სალიცენზიო ობიექტების შესახებ; აუქციონეზე გამოტანილი ასათვისებელი რესურსის ოდენობა განსხვავებულია რეალურად არსებულისგან, რაც საფრთხეს უქმნის ტყის ეკოსისტემებს, ასევე ლახავს ინვესტორთა (ლიცენზიის მფლობელთა) ინტერესებს; გარდა ამისა, სალიცენზიო პირობებში მოცემული ლიცენზიანტების ვალდებულებები არ შეესაბამება მათ უფლებებს. უმეტესი სალიცენზიო პირობების შესრულება შეუძლებელია, რის გამოც ლიცენზიის გამცემმა მისი გაცემიდან ერთ წელიწადში უნდა დასვას ლიცენზიის გაუქმების საკითხი პირობების შეუსრულებლობის გამო, ან თვალი დახუჭოს მათ დარღვევაზე, რასაც აქვს ადგილი დღეს მოქმედი ტყითსარგებლობის ხანგრძლივვადიანი ლიცენზიების შემთხვევაში; ასეთი ურთიერთობა ლიცენზიის გამცემსა და მიმღებს შორის კორუფციულ გარემოს ქმნის. ბუნებრივია, რომ ასეთი პირობებით ინვესტიციას მხოლოდ ის ჩადებს, ვისაც ექნება წინასწარი გარანტია, რომ ლიცენზიის პირობების დარღვევის გამო მას საქმიანობის უფლებას არ ჩამოართმევენ. ინტერესთა კონფლიქტია ჩადებული იმაშიც, რომ უკვე ლიცენზიების გაცემის შემდეგ ლიცენზიის მფლობელმა, ანუ დაინტერესებულმა მხარემ, უნდა ჩაატაროს სრული ინვენტარიზაცია და დაადგინოს მის მიერვე მოსაპოვებელი რესურსის ოდენობა[22]. ტყის ფართობების ლოტებად დაყოფა და სალიცენზიო პირობები მისადაგებულია კონკრეტულ პრეტენდენტზე.

• **ტყითსარგებლობის აუქციონის გამოცხადების გაუმჭვირვალე პროცედურა:** სალიცენზიო ობიექტების შერჩევისას გადაწყვეტილების მიღებამდე არ ხდება დაინტერესებულ საზოგადოებასთან (იგულისხმება ადგილობრივი მოსახლეობა, გარემოსდაცვითი ორგანიზაციები და სამეცნიერო დაწესებულებები, დარგის ექსპერტები) ღია და საჯარო კონსულტაცია. გადაწყვეტილება ტყის ფართობების სალიცენზიოდ გამოტანის შესახებ ხდება გაუმჭვირვალედ, დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის გარეშე; ტყეებს აქვს უდიდესი ეკოლოგიური, კულტურული, სოციალური, სულიერი, რეკრეაციული და სხვა მრავალი ღირებულება, რომელთა გათვალისწინება არ ხდება ტყითსარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ვინაიდან ტყითსარგებლობა გათვლილია მხოლოდ ერთჯერად ფისკალურ ეფექტზე. დაინტერესებული საზოგადოებისთვის აუქციონამდე მხოლოდ ერთი თვით ადრე ხდება ცნობილი უკვე მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც დადგენილია, თუ რომელი ფართობები გაიყიდება ხანგრძლივვადიანი ლიცენზიით და რა პირობებით (იმავდროულად ზოგიერთი კომპანიისთვის ეს ინფორმაცია გაცილებით ადრეა ხოლმე ცნობილი. უფრო მეტიც, შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში სალიცენზიო პირობების შედგენა ხდება მათზე მორგებულად, წინასწარი მოლაპარაკების შედეგად). ასეთი პროცედურის გამო დაინტერესებულ საზოგადოებას არანაირი საშუალება არ რჩება, რომ ზეგავლენა მოახდინოს იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც გარემოზე მნიშვნელოვნად იმოქმედებს.

მიუხედავად იმისა, რომ ტყის კოდექსის მიხედვით სახელწიფო ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებამდე უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, პრაქტიკაში კანონმდებლობის ეს მოთხოვნები უგულებელყოფილია. ასეთ პირობებში საქართველოს მოსახლეობას საკუთარი უფლებების დასაცავად და აზრის გამოსახატავად მხოლოდ პროტესტის გამოხატვის უკიდურესი ფორმები რჩება. სამწუხაროა, რომ გამჭვირვალე პროცედურის დამკვიდრება, რომელიც მხოლოდ წაადგებოდა ინტერესთა კონფლიქტების აღმოფხვრასა და ხელს შეუწყობდა სამოქალაქო კონფრონტაციის დარეგულირებას, აქამდე არ წარმოადგენდა სატყეო სექტორთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიმღებთა პრიორიტეტს. ამით, ნებსით თუ უნებლიეთ, ისინი ხელს უწყობენ კორუფციის შესაძლებლობის გაჩენას და საზოგადოებაში დაძაბულობის კერის გაღვივებას.

• **გარემოსდაცვითი საკითხების უგულებელყოფა.** ხე-ტყის დამზადების სალიცენზიო ობიექტე-

---

[22] გაურკვეველია, რა ხდება, როდესაც აღინიშნება ცდომილება ლიცენზიის გაცემისას დადგენილ კვოტასა და ინვენტარიზაციის შედეგად მიღებულ მონაცემს შორის, რასაც ვაწყდებით ამჟამად მოქმედ ლიცენზიატებთან. 20 წლიანი ლიცენზიის ერთ-ერთი მფლობელის – „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტის“ – ლიცენზიით დამაგრებული ტყეების ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ ყოველწლიურად მოსაპოვებელი რესურსის ოდენობა ლიცენზიაში დაფიქსირებული ოდენობის ნახევარსაც ვერ აღწევს.

ბის შერჩევისას საერთოდ არ ხდება შეფასება, თუ რამდენად მიზანშეწონილია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით კონკრეტული ტყის ფართობის გამოყოფა ხე-ტყის დამზადების მიზნით. შედეგად, ტყის ჭრისთვის გაიცემა მაღალი კონსერვაციული (გარემოსდაცვითი) ღირებულების ტყეები, რომლებიც ისეთივე გაფრთხილებას საჭიროებს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; ამასთანავე მათ, როგორც პოტენციურ დაცულ ტერიტორიებსა და კურორტებს, უდიდესი რეკრეაციული და ტურისტული პოტენციალი გააჩნიათ. კავკასიონზე შემორჩენილ ტყის მასივებს გლობალური ეკოლოგიური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ეს არის ზომიერ სარტყელში შემორჩენილი უკანასკნელი ხელუხლებელი ტყეები. საქართველოში ინტაქტური (ხელუხლებელი) ტყეები შეადგენენ მთლიანი ტყის ფართობების 17,2%-ს, ხოლო მათგან დაცული სტატუსი მხოლოდ 2%-ს აქვს [36]. ტყითსარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიების პირობებში გარემოსდაცვითი მოთხოვნები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. მართალია, აღნიშნულია, რომ „ლიცენზიანტი ვალდებულია დაიცვას მაღალი კონსერვაციული (გარემოსდაცვითი) ღირებულების ტყეები“, მაგრამ ასეთი სტატუსის იდენტიფიცირება ისევ ინვესტორზეა მინდობილი. გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებისათვის სახელმწიფო წინასწარ უნდა ადგენდეს, თუ რომელია დასაცავი ტყეები და არ შეიტანოს ისინი სალიცენზიო ობიექტებში, ან ასეთის გარდაუვალობის შემთხვევაში მოახდინოს ლიცენზიაში მათი იდენტიფიცირება (სატყეო კვარტლების მითითებით) და დააწესოს მკაფიო მოთხოვნები ლიცენზიანტისადმი ამ ტყეებში ინ-სიტუ კონსერვაციული ღონისძიებების გასატარებლად.

ზემოხსენებული მოთხოვნების უგულებელყოფით ირღვევა ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებები, რომელიც მას აღებული აქვს გარემოსდაცვით და სატყეო სექტორთან დაკავშირებით: კონვენცია „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ და მისი დოკუმენტები („ტყეებთან დაკავშირებული სამოქმედო პროგრამა“ CBD COP 6 Decision VI-22 და სხვ.), ორჰუსის კონვენცია, ევროკავშირის დირექტივები (მაგ. „ჰაბიტატების დირექტივა“), ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის (MCPFE) გადაწყვეტილებები, „ევროპისა და ჩრდილოეთ აზიის სატყეო სექტორში კანონაღსრულებისა და მმართველობის“ დეკლარაცია (ENA-FLEG) და სხვ. თითოეულ მათგანში ეკოლოგიურ მოთხოვნებთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობა საზოგადოების მონაწილეობას და პროცესების გამჭვირვალობას. ამგვარი ქმედებები, მით უმეტეს, როდესაც ისინი მოტივირებულია კერძო ინტერესების ლობირებით, საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში დიდ ზიანს აყენებს ქვეყნის ავტორიტეტს. ასეთი ნაბიჯების პოლიტიკური ფასი გაცილებით აღემატება ბიუჯეტის მიერ მიღებულ ერთჯერად შემოსავალს.

### 5.2. ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველყოფა

შეშით მომარაგების დაუხვეწავი პროცედურისა და სატყეო სამსახურების გაუმართავი სტრუქტურის გამო საშეშე მერქნის კანონიერად მოპოვება მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის ფიზიკურად შეუძლებელია (სეზონის მანძილზე ერთი რეინჯერი დაახლოებით 200-ჯერ უნდა წავიდეს ტყეში, რომ უზრუნველყოს მის სატყეო უბანზე საშეშე მერქნის მოპოვების კანონიერება). 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ შეშის ვაუჩერების დარიგებამ მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყვიტა ეს პრობლემა. 2008 წლის მაისამდე ადგილობრივი მოსახლეობის სამასალე მერქნით მომარაგების ლეგალური საფუძველი არ არსებობდა. 2008 წლის მაისის დასაწყისში ასეთი სამართლებრივი საფუძველი შემოღებული იქნა, მაგრამ ის იმდენად მოუხერხებელ პროცედურას გულისხმობს, რომ მოსახლეობისათვის სამასალე მერქანი კვლავ მიუწვდომელია. სოფლის მცხოვრებს ჭიგოს, სარის და ა.შ. მოპოვება მხოლოდ კანონის დარღვევის შედეგად შეუძლია[23]. ამ პირობებში გაურკვეველი წარმოშობის ინვესტორებზე ტყეების გადაცემა ადგილობრივ მოსახლეობაში უკმაყოფილებასა და აგრესიას იწვევს.

## ტყითსარგებლობის აუქციონის გამოცხადებისას გაუმჭვირვალეა პროცედურა

### 5.3. შემარბილებელი ღონისძიებების არარსებობა

ტყის ეკოსისტემების დეგრადაციისაგან დაცვისათვის ძალზე მნიშვნელოვანია შემარბილებელი ღონისძიებების გატარება (ტყის აღდგენა-გაშენება, მავნებლებთან ბრძოლა, ხანძრების პრევენცია). ამგვარი ღონისძიებები საქართველოში პრაქტიკულად აღარ ტარდება [8]:

- საქართველოში ხანძარსაშიშროების მაღალ კლასს მიეკუთვნება 450,000 ჰა წიწვოვანი ტყე. გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ყოველწლიურად ტარდებოდა ტყის ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებები: ტყეების საავიაციო-სახანძრო მეთვალყურეობა, სახანძრო ბილიკებისა და ზოლების მოწყობა, წიწვოვან კორომებში ხეთა ვარჯის ფორმირება, სამეთვალყურეო კოშკების მოწყობა, ხანძარმდგრადობის მიზნით შერეული (ფოთლოვანი და წიწვიანი) ტყის ხელოვნური გაშენება და სხვა. ასეთი სამუშაოები ბოლო 20 წელია თითქმის აღარ ტარდება. ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკური საშუალებები და სახანძრო ინვენტარი არ მოიპოვება. არ ხდება ხანძარსაწინააღმდეგო ავიაპატრულირება. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, გაზრდილია ტყის ხანძრების რაოდენობა და შესაბამისად ტყეზე მიყენებული ზიანი.
- 1946 წლიდან და 1990 წლის ჩათვლით ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობის ღონისძიებები ჩატარებულია 790,5 ათას ჰექტარზე (საშუალო წლიურად 15,6 ათას ჰექტარზე). ამავე პერიოდში სახელმწიფო ტყის ფონდში ხელოვნური გაშენება ჩატარდა 230,9 ათას ჰექტარზე, აქედან ტყით დაფარულთა კატეგორიაში გადაყვანილ იქნა 72,5 ათასი ჰექტარი ტყე. 1991-1996 წლებში გაშენდა 8200 ჰა ტყე. გაშენება-განახლების ღონისძიებები 1997-2002 წლებში არ ჩატარებულა. ბოლო 12 წლის განმავლობაში სულ დაახლოებით 300 ჰა ტყე გაშენდა.

[23] ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. მწვანე ალტერნატივას პუბლიკაციაში „საქართველოს სატყეო სექტორის მონიტორინგი 2007-2008 წწ.“

- მავნებელ-დაავადებანი გავრცელებულია საქართველოს ტყის ფონდის თითქმის მთელ ტერიტრორიაზე როგორც ფოთლოვან, ისე წიწვოვან ტყეებში. 1990-92 წლებში ტყეების მავნებელ-დაავადებებისაგან დაზიანებამ შეადგინა 72350 ჰექტარი, რაზედაც თითქმის მთლიანად (94%) ჩატარებული იქნა შესაბამისი ღონისძიებები. 1993 წლიდან მავნებელ-დაავადებათა მიერ ტყეების დაზიანება გაიზარდა და ყოველწლიურად შეადგენს 45-50 ათას ჰა-ს, რომლის წინააღმდეგაც დღესდღეობით თითქმის არავითარი ღონისძიებები არ ტარდება.

## გარემოსდაცვითი საკითხები უგულებელყოფილია

არსებული უარყოფითი ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ მოვლენები შემდეგნაირად განვითარდეს: ინვესტორები, რომელთა ბიზნესსაც ხე-ტყის დამზადება წარმოადგენს, მოიპოვებენ იმდენ მერქანს, რამდენიც უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ მოგებას; ვინაიდან ლიცენზიის მიხედვით მათ უფრო მეტის მოპოვების უფლება აქვთ, ვიდრე ეს დასაშვებია ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ტყის ეკოსისტემები სწრაფად განადგურდება. ამავე ტყეებში ადგილობრივი მოსახლეობა მოიპოვებს იმდენს, რამდენიც აუცილებელია მათთვის და მეტსაც, ხოლო ლიცენზიის მფლობელი ამაში წინააღმდეგობას ვერც გაუწევს (ვინაიდან არა აქვს უფლებამოსილება) და არც იქნება დაინტერესებული ამით, ვინაიდან შესაძლებლობა ექნება ხე-ტყე თავადაც უკანონოდ მოიპოვოს და საკუთარი დანაშაული ადგილობრივ მოსახლეობას გადააბრალოს. ლიცენზიების კონტროლის მექანიზმი სუსტია: მაკონტროლებელს მხოლოდ ლიცენზიის აღებიდან ერთი წლის შემდეგ შეუძლია სალიცენზიო პირობების შესრულების შემოწმება, ისიც წელიწადში მხოლოდ ერთხელ. საბოლოო ჯამში, ასეთი პრაქტიკა გამოიწვევს რესურსის ამოწურვას, ამ რესურსზე დამოკიდებული მოსახლეობის კიდევ უფრო გაღარიბებას და უარყოფითი გეოლოგიური პროცესების გააქტიურების პროვოცირებას, საბოლოოდ – მოსახლეობის იძულებით გადაადგილება-ეკომიგრაციას.

ტყეების დეგრადაციას და რესურსების არამდგრად გამოყენებას ხელს უწყობს სხვა გარემოებებიც: დამამზადებლები ტყეში მუშაობისას იყენებენ მოძველებულ ტექნიკას (ყოფილი „ტყემრეწვის“ ბალანსიდან ჩამოწერილი ტექნიკა, რომლის გამოყენებას იწვევს დასაშვებ ნორმაზე მეტი ხეების დაზიანებას, მოზარდის განადგურებას, ნიადაგის საფარის მოხსნას და ა.შ.); ტყის ეკოსისტემები აუქციონის ლოტებად ისეა დაყოფილი, რომ მალე გამოიწვევს მათი რღვევას; ხე-ტყის დამზადება-გადამუშავებას აწარმოებენ პირები, რომლებსაც ამ სფეროში არანაირი ცოდნა და გამოცდილება არა აქვთ (არ არსებობს სერტიფიცირებული მეტყევეების ინსტიტუტი).

ტყეების საერთო მდგომარეობის ობიექტური სურათის არარსებობის გამო ხდება მოძველებული რიცხობრივი მონაცემებით არასწორი მანიპულირება. მტკიცება იმისა, რომ საქართველოს ტყის ფონდი მოიცავს 2988000 ჰა-ს, სადაც წლიური შემატება 3,5 მილიონი კუბური მეტრია და შესაძლებელია ამ რიცხვთან მიახლოებული მოპოვების კვოტის დაწესება, არ მიგვაჩნია მართებულად. საქმე ისაა, რომ ამ ფართობში შედის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონის ტყეებიც, ასევე დაცული ტერიტორიები. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველოს ტყეების უმეტესობა განლაგებულია დიდი დაქანების ფერდობებზე, სადაც გარემოსდაცვითი მოსაზრებებითა და ტყის ჭრის წესებით ხე-ტყის მოპოვება აკრძალულია. მონაცემები ტყით დაფარული ფართობების, მერქნული რესურსის საერთო მოცულობისა და მთლიანი საშუალო წლიური შემატების შესახებ ეყრდნობა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მიღებულ მონაცემებს. ამ პერიოდის შემდეგ კი საქართველოში ტყეების ჩეხვამ უპრეცენდენტო მასშტაბებს მიაღწია. ამდენად, ამ რიცხვებით მანიპულირება მხოლოდ საქმეში ჩაუხედავ ადამიანებზეა გათვლილი. წლიური შემატების საერთო მოცულობა პირდაპირ კორელაციაში არ არის ყოველწლიურად დასაშვებ მოპოვების კვოტასთან. საქართველოს პირობებში წიწვოვანი ხემცენარე მოსაჭრელ კონდიციას აღწევს დაახლოებით 70 წლის, ხოლო ფოთლოვანი – 100-150 წლის ასაკში, (ანუ ხეს საშუალოდ 100 წელი სჭირდება, რომ მოსაჭრელი გახდეს). ელემენტარული გამოთვლით, თუ ყოველი 100 ხიდან 100 წელიწადში იჭრება 1-ზე მეტი, ადგილი აქვს ეკოსისტემის დეგრადაციას. ამდენად, საქართველოში ხეტყის მრეწველობის განვითარებისა და ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგად გადაქცევისათვის რეალური საფუძველი არ არსებობს.

ასევე არასწორია ფართომასშტაბიანი ლიცენზირების დასაბუთება სამუშაო ადგილების შექმნით. მართალია, სალიცენზიო პირობებში აღნიშნულია, რომ ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, დასაქმებულთა 98% საქართველოს მოქალაქე რომ იყოს, მაგრამ არავინ სვამს კითხვას, რამდენი ადამიანი შეიძლება იყოს ეს 98%. მეწარმემ, რომელიც ფლობს ხანგრძლივვადიან ლიცენზიას რომელიმე რაიონში, შეიძლება დაასაქმოს დაახლოებით 70 ადამიანი, მაშინ როდესაც თითოეულ რაიონში ტყეს იყენებს რამდენიმე ათასი მოსახლე. ამდენად, ტყითსარგებლობის პოლიტიკის დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტყეს საქართველოში უფრო სოციალური ფუნქცია გააჩნია, ვიდრე ეკონომიკური.

## 6. ალტერნატივების ანალიზი

სატყეო სექტორის რეფორმაზე მსჯელობისა და ალტერნატივების გაანალიზებისას ძირითადად განიხილება სხვა ქვეყნებში არსებული სატყეო სექტორის ინსტიტუციური მოწყობის მოდელები. მიგვაჩნია, რომ საუკეთესო გამოსავლისა და ჩვენი ქვეყნისათვის გამოსადეგი მოდელის ძიებაში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ტყეების მდგრად გამოყენებასა და ეკოსისტემურ მიდგომასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, რომლებიც ჩადებულია საერთაშორისო კონვენციებში, შეთანხმებებში და ინიციატივებში. სწორედ ამ რეკომენდაციების დანერგვა ადგილობრივი ბუნებრივი პირობებისა და ტრადიციების გათვალისწინებით მიგვიყვანს მართვის საუკეთესო მოდელთან.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს ტყის მართვის განსხვავებული მოდელი. ევროკავშირის

ქვეყნებში პარალელურად არსებობს სახელმწიფო და კერძო საკუთრება ტყეებზე, ასევე კომუნალური, მუნიციპალური ტყეები, გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მართული ტყეები და სხვ [30]. ჩვეულებრივ, სახელმწიფო ტყეებს მართავს თავად სახელმწიფო სააქციო საზოგადოებების მეშვეობით. შვედეთში სახელწიფოს საკუთრებაში ქვეყნის ტყეების 18%, ხოლო კერძო საკუთრებაში – 51%-ია. კერძო ტყეების მდგრადი მართვა განპირობებულია ადეკვატური საკონსულტაციო მომსახურებით. კარგადაა დანერგილი ნებაყოფლობითი სერტიფიცირება. კერძო სექტორი კარგად იცნობს და იყენებს ტყეების მდგრადი მართვისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის პრინციპებს. გერმანიაში სახელმწიფოს ეკუთვნის ქვეყნის ტყეების 30%, კერძო სექტორს – 64%. როგორც სახელმწიფო კომპანიები, ისე კერძო მფლობელები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ სატყეო მეურნეობის წარმოების (ჭრა, აღდგენა-გაშენება, პლანტაციის გაშენება და სხვ.) ერთნაირი წესებით. მსგავსი სისტემაა ავსტრიაში [12]. ტყეების უმეტესი ნაწილი კერძო საკუთრებაშია,ხოლო ნაწილს მართავს სახელმწიფო კომპანია – Österreichische Bundesforste (ÖBf) [31]. ეს არის ქვეყანაში ყველაზე დიდი ტყის მმართველი კომპანია. მის გამგებლობაშია ქვეყნის ტერიტორიის 10%, რაც მოიცავს ტყეების 15% და ტბების 70%. ამ ტერიტორიის ნახევარზე მეტს იცავს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა. ორგანიზაცია არა მარტო მერქნის დამზდებას აწარმოებს, არამედ ფლობს თევზჭერისა და ნადირობის ლიცენზიებაც. 2007 წელს მისმა შემოსავლებმა შეადგინა 279,2 მილიონი ევრო, აქედან მერქნის დამზადებაზე მოდის 139,9 მილიონი ევრო (დანარჩენი – თევზჭერა, ნადირობა, ტურიზმი, იჯარა, ტექნოლოგიები და სხვ.).

ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ესტონეთის მაგალითს, რადგან ამ ქვეყანაში პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან სატყეო რეფორმა ყველაზე წარმატებული იყო.

### 6.1. მდგრად სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილება

ტყეების მდგრადი მართვა ნიშნავს ტყეების მართვას (მენეჯმენტს) მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად. ეს მიდგომა გულისხმობს ძალზე ფართო სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ამოცანების შესრულებას.

1992 წელს რიო დე ჟანეიროში ჩატარებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციაზე – „გარემო და განვითარება" დადგენილი იქნა სატყეო პრინციპები. მასში ასახული იყო საერთაშორისო საზოგადოებრიობის მაშინდელი მიდგომა ტყეების მდგრადი მენეჯმენტისადმი. მას შემდეგ გარკვეულწილად შეიცვალა და განვითარდა ამ ცნების განმსაზღვრელი კრიტერიუმები და ინდიკატორები.

მდგრადი სატყეო მენეჯმენტის დღევანდელი განსაზღვრება (დეფინიცია) შემუშავებულ იქნა ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის მიერ (MCPFE – Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe) და შემდეგ დამტკიცდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ (FAO). მდგრადი სატყეო მენეჯმენტი განიმარტება შემდეგნაირად: ტყეებისა და სატყეო მიწების მართვა და გამოყენება ისეთი გზითა და მოცულობით, რომ შენარჩუნებული იქნას მათი ბიომრავალფეროვნება, პროდუქტიულობა, რეგენერაციის შესაძლებლობა, სიცოცხლისუნარიანობა და მათი პოტენციალი, რათა ახლაც და მომავალშიც შესრულებულ იქნას ტყის შესაბამისი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები ლოკალურ, ნაციონალურ და გლობალურ დონეზე და არ გამოიწვიოს სხვა ეკოსისტემების დაზიანება.

**მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს ტყის მართვის განსხვავებული მოდელი. ევროკავშირის ქვეყნებში პარალელურად არსებობს სახელმწიფო და კერძო საკუთრება ტყეებზე, ასევე კომუნალური, მუნიციპალური ტყეები, გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მართული ტყეები და სხვ**

MCPFE ექსპერტთა შეხვედრის მიერ მიღებულ იქნა დოკუმენტი „ტყის მდგრადი მართვის პანევროპული ინდიკატორები", რომელიც 2003 წელს შევიდა MCPFE ვენის დეკლარაციის ტექსტში დანართის სახით [16]. ტყეების მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები ფართოდ გამოიყენება მრავალი ქვეყნის მიერ ეროვნული ანგარიშების შედგენისას. არსებობს 9 საერთაშორისო და რეგიონული ინიციატივა, რომელშიც კოლექტიურად ჩაბმულია 150-ზე მეტი ქვეყანა და რომელსაც აქვს მდგრადი სატყეო მენეჯმენტის კრიტერიუმები და და ინდიკატორები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია 3 ინიციატივა: 1) Working Group on Criteria and Indicators for the Conservation and Sustainable Management of Temperate and Boreal Forests (Montreal Process), 2) Ministerial Conference for the Protection of Forests in Europe 3) International Tropical Timber Organization. ქვეყნები, რომლებიც არიან ამ ინიციატივების წევრები, როგორც წესი, თანხმდებიან იმაზე, რომ ანგარიშგებას მოახდენენ ერთი და იმავე ინდიკატორების გამოყენებით. ქვეყნების შიგნით არსებული მმართველი სტრუქტურის დონეზე ძალისხმევა მიმართული იყო მდგრადი ტყის მართვის ადგილობრივი კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებისკენ. ორგანიზაციებმა Center for International Forestry Research და The International Model Forest Network შეიმუშავეს მეთოდები ტყეზე დამოკიდებული ადგილობრივი თემების დასახმარებლად, ადგილობრივი ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესამუშავებლად.

ზემოთ დასახელებული ინიციატივების კრიტერიუმები და ინდიკატორები შეიძლება გაერთიანდეს 7 თემატურ ჯგუფში:

- ტყის რესურსების ზომა (უწყვეტობა – extent);
- ბიოლოგიური მრავალფეროვნება;
- ტყის სიჯანსაღე და სიცოცხლისუნარიანობა;
- პროდუქტიულობა და ტყის რესურსები;
- ტყის რესურსების დაცვითი ფუნქცია;
- სოციო-ეკონომიკური ფუნქცია;

• ლეგალური, პოლიტიკური და ინსტიტუციური სტრუქტურა.

ეს შვიდი თემატური ჯგუფი კარგად გამოხატავს ტყის მდგრადი მართვისადმი არსებულ მიდგომას. ეს თემატური ჯგუფები მიღებული იქნა საერთაშორისო სატყეო საზოგადოების მიერ გაერთიანებული ერების მეოთხე სატყეო ფორუმზე და სატყეო მეურნეობის კომიტეტის მე-16 სესიაზე [34].

ეკოსისტემური მიდგომა 1995 წლიდან შეტანილი იყო ბიომრავალფეროვნების კონვენციის დღის წესრიგში. კონვენციის განმარტებით, ეკოსისტემური მიდგომა არის მიწის, წყლისა და ცოცხალი რესურსების ინტეგრირებული მართვის სტრატეგია, რომელიც ხელს უწყობს კონსერვაციასა და მდგრად გამოყენებას სამართლიანი გზით. ეკოსისტემური მიდგომის მეშვეობით შესაძლებელია დაცული იქნეს ბალანსი კონვენციის სამ კომპონენტს შორის. ეკოსისტემური მიდგომის მიხედვით, ადამიანები თავიანთი კულტურული მრავალფეროვნებით წარმოადგენენ მრავალი ეკოსისტემის ინტეგრალურ კომპონენტს.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის მხარეთა კონფერენციამ (2004, Decision VII/11 of COP7) აღიარა მდგრადი ტყის მენეჯმენტი, როგორც ტყის ეკოსისტემების მართვის ეკოსისტემური მიდგომის კონკრეტული მეთოდი.

ორი კონცეფცია – მდგრადი ტყის მენეჯმენტი და ეკოსისტემური მიდგომა – გულისხმობს კონსერვაციისა და მენეჯმენტის ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც არის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით მდგრადი და სარგებელს მოუტანს დღევანდელ და მომავალ თაობებს.

ევროპაში ორმა ავტორიტეტულმა ორგანომ – ევროპის მინისტრთა კონფერენციამ და ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების პანევროპულმა საბჭომ – ერთობლივად შეიმუშავეს დოკუმენტი, რომლითაც ცნეს ის ფაქტი, რომ ტყის მდგრადი მენეჯმენტი განუყოფელია ეკოსისტემურ მიდგომასთან (Joint Position Of The MCPFE And The Efe/PEBLDS On The Pan-European Understanding Of The Linkage Between The Ecosystem Approach And Sustainable Forest Management) [24].

ტყის მდგრადი გამოყენების ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს ტყის დამოუკიდებელი სერტიფიცირება. დამოუკიდებელი სერტიფიცირების დანერგვას ხელი შეუწყო საზოგადოების მზარდმა გარემოსდაცვითმა ცნობიერებამ და ხე-ტყის გადამამუშავებელთა მოთხოვნამ, სოციალური პასუხისმგებლობით ეწარმოებინათ საკუთარი ბიზნესი. სერტიფიცირების პოტენციური მომხმარებლები არიან: ტყის მენეჯერები, ინვესტორები, გარემოსდაცვითი ადვოკატები, ქაღალდისა და მერქნის მომხმარებელი ბიზნესმენები და კერძო პირები. ტყის სერტიფიცირების მეშვეობით დამოუკიდებელი ორგანიზაცია ამკვიდრებს კარგი ტყის მენეჯმენტის სტანდარტებს და დამოუკიდებელი აუდიტორები გასცემენ სერტიფიკატებს დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. სერტიფიცირება გულისხმობს, რომ მერქანი, ქაღალდი და სხვა პროდუქტი მოიპოვება სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად მართული ტყეებიდან. ამრიგად, დამოუკიდებელი სერტიფიცირება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მათთვის, ვისაც სურს დარწმუნებული იყოს იმაში, რომ მის მიერ შეძენილი ტყის პროდუქცია მოპოვებულია კანონის დაცვით, თანაც მდგრადი მეთოდებით მართულ ტყეში.

სერტიფიკაციის გაზრდამ გამოიწვია რამდენიმე სხვადასხვა სისტემის გაჩენა მსოფლიოს მასშტაბით. ამის შედეგად არ არსებობს მსოფლიოში საყოველთაოდ მიღებული ტყის მენეჯმენტის ერთი რომელიმე სტანდარტი და ყველა სისტემას გააჩნია რაღაცით განსხვავებული მიდგომა ტყის მდგრადი მენეჯმენტის განმსაზღვრელი სტანდარტებისადმი.

სერტიფიცირების ზოგიერთი სტანდარტია:
• კანადის სტანდარტების ასოციაცია – Canadian Standards Association (CSA)
• საერთაშორისო სატყეო სამეურვეო საბჭო – Forest Stewardship Council (FSC)
• მდგრადი მეტყევეობის ინსტიტუტი – Sustainable Forestry Initiative (SFI)
• ტყის სერტიფიცირების სქემების მხარდაჭერის პროგრამა – Programme for the Endorsement of Forest Certification Schemes (PEFC).

მსოფლიოში სერტიფიცირებული ტყეების ფართობი სწაფი ტემპით იზრდება. 2006 წლის დეკემბერში 2ვ 444ვ 000 კვადრატული კილომეტრი ტყე იყო სერტიფიცირებული CSA, FSC, SFI სტანდარტების შესაბამისად, რომელთაგან 1237000 კვადრატული კილომეტრი მხოლოდ კანადაზე მოდის. ყველაზე მეტი სერტიფიცირებული ტყე არის ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. განვითარებად ქვეყნებში ეს ინსტრუმენტი სერტიფიცირებული აუდიტისა და სერტიფიცირების სტანდარტების არქონის გამო ფართოდ არ გამოიყენება.

როგორც აღვნიშნეთ, ტყის მდგრადი მართვის საკითხებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივა არის ტყის საკითხებზე მომუშავე ევროპის მინისტრთა კონფერენცია (MCPFE)[24].

2003 წლის ვენის ევროპის სატყეო დარგის მინისტრთა კონფერენციის მიერ მიღებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელთა რეკომენდაციების შესრულებზეც ვალდებულება აიღეს მონაწილე ქვეყნებმა. ეს არის ვენის მინისტრთა დეკლარაცია (ვენის ცოცხალი ტყეების სამიტის დეკლარაცია: ევროპის ტყეები – საერთო სარგებელი, განაწილებული პასუხიმგებლობა (Vienna Living Forest Summit Declaration European Forests: Common Benefits, Shared Responsibilities) და 5 რეზოლუცია [16].

პირველი რეზოლუცია ეხება თანამშრომლობის გაძლიერებას ევროპაში ტყის მდგრადი მართვის

[24] ამ თემაზე იხ. დამატებით ვებ გვერდი: www.mcpfe.org, ასევე გამოყენებულ ლიტერატურაში: [13, 14, 15, 16, 17, 18, 20, 21, 22, 23]

საკითხებში სექტორებს შორის კოოპერაციისა და ეროვნული სატყეო პროგრამების მეშვეობით (Strengthen synergies for sustainable forest management in Europe through cross-sectoral co-operation and national forest programmes). მასში ნათქვამია, რომ ტყეების მდგრადი მართვა შეუძლებელია ტყეების მართვის პოლიტიკისა და სხვა სფეროების პოლიტიკებისა და სტრატეგიების ინტეგრაციისა და კოორდინაციის გარეშე. ამ რეზოლუციის მიხედვით, ხელმომწერი მხარეები ვალდებულებას იღებენ შეიმუშაონ და შეასრულონ ტყეების ეროვნული პროგრამები, რომლებშიც შესაძლებლობის ფარგლებში გამოყენებული იქნება ამ რეზოლუციის დანართში (The Annex to Vienna Resolution 1: "Strengthen Synergies for Sustainable Forest Management in Europe Through Cross-Sectoral Co-operation and National Forest Programmes" embraced the MCPFE Approach to National Forest Programmes in Europe) მოცემული პრინციპები[23]:

- თანამონაწილეობა;
- ერთიანი და ინტერ-სექტორალური მიდგომა;
- იტერატიული (მრავალჯერადი) და ხანგრძლივი პასუხისმგებლობა;
- შესაძლებლობათა გაძლიერება;
- ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ჰარმონიზაცია;
- ეროვნული მდგრადი განვითარების სტრატეგიებითან ინტეგრაცია;
- საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობა;
- ინსტიტუციური და პოლიტიკური რეფორმა;
- პარტნიორობა განხორციელების პროცესში;
- ცნობიერების ამაღლება.

მეორე რეზოლუცია ეხება ტყეების მდგრადი მართვის ეკონომიკურ ასპექტებს და ეწოდება „ტყეების მდგრადი მართვის ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდა". მასში ნათქვამია, რომ ეკონომიკური ეფექტურობა წარმოადგენს ტყეების მდგრადი მენეჯმენტის ძირითად პრინციპს და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტყეების დაცვისა და მათი მრავალმხრივი გამოყენებისათვის, რათა ხელი შეუწყოს ტყეების მდგრად გამოყენებას და ადამიანების, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები მოსახლეობის, უზრუნველყოფას სასიცოცხლო აუცილებლობებით. რეზოლუციაში გამოთქმულია შეშფოთება იმ არსებული ტენდენციის გამო, რომლითაც ევროპის რეგიონის მრავალ ქვეყანაში მდგრადი გამოყენებისათვის შექმნილმა პირობებმა შექმნეს ეკონომიკური ხასიათის პრობლემები.

ხელმომწერი ქვეყნები იღებენ ვალდებულებას, ტყეების მდგრადი მართვის სტაბილური პირობების შესაქმნელად ჩამოაყალიბონ სატყეო პოლიტიკა, შექმნან იურიდიული სტრუქტურები და სხვა ინსტრუმენტები, რომლებიც მოახდენენ სატყეო სექტორში ინვესტირებისა და ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებას, მათ შორის სატყეო კანონმდებლობის გამკაცრებას უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის მოპოვებისა და მასთან დაკავშირებული ვაჭრობის აღსაკვეთად.

მესამე რეზოლუცია არის „ევროპაში ტყეების მდგრადი მართვის სოციალური და კულტურული ასპექტების შენარჩუნება და გაძლიერება". იგი ეფუძნება იმის აღიარებას, რომ ტყეების ღირებულება ასახულია ხალხთა კულტურაში, ენაში, ხელოვნებაში, ტრადიციებში და სხვა სულიერ ღირებულებებში. ამის გამო ქვეყნები ვალდებულებას იღებენ ტყეების მდგრადი მართვის სოციალური და კულტურული ასპექტები ასახონ სატყეო და სხვა შესაბამის ეროვნულ პოლიტიკებში.

განსაკუთრებით საინტერესოა მეოთხე რეზოლუცია – „ევროპაში ტყის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და გაზრდა". ამ რეზოლუციაში მოცემულია ევროპის ტყეების კლასიფიკაციის სისტემა იმ ძირითადი პრინციპების მიხედვით, რომლითაც უნდა მოხდეს დაცული, დაცვითი და ტყით დაფარული სხვა ტერიტორიების კლასიფიკაცია და მდგრადი განვითარების შესატყვისი სარგებლობის რეჟიმის დაწესება.

დაცული და დაცვითი ტყეები დაყოფილია ხუთ კლასად, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ამ დაყოფაში მოცემულია კავშირი ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) კატეგორიებსა და ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს კატეგორიებს შორის (პირველის მიხედვით ხდება დაცული ტერიტორიების კატეგორიების დაწესება, ხოლო მეორე წარმოადგენს, NATURA 2000 და „ზურმუხტოვანი ქსელის" კრიტერიუმებს [29, 33]). ამ რეზოლუციის ძირითადი პრინციპების დანერგვა წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ტყეების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების საქმეში.

სხვა ინიციატივა, რომელიც დაკავშირებულია ტყეებთან და რომლის წევრიცაა საქართველო, არის FLEGT (Forest Law Enforcement, Governance and Trade – კანონის აღსრულება, მმართველობა და ვაჭრობა სატყეო სექტორში). 2003 წლის 21 მაისს ევროკომისიამ დამტკიცა მისი სამოქმედო გეგმა. ეს ინიციატივა არის პოლიტიკური პროცესი, რომლის მიზანია ტყის უკანონო ჭრასთან და ვაჭრობასთან ბრძოლა. FLEGT ინიციატივით ევროკავშირი, როგორც მერქნის ერთ-ერთი მსხვილი მომხმარებელი, ინაწილებს პასუხისმგებლობას მერქნის მწარმოებელ ქვეყნებთან უკანონო მოპოვებისა და ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოქმედებათა გეგმა გულისხმობს ნებაყოფლობითი შეთანხმების შემუშავებას ხე-ტყის მწარმოებელ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის. ევროკავშირში ექსპორტირებული და პარტნიორ ქვეყნებში წარმოებული მერქნის ლეგალურობა უნდა განისაზღვროს ლიცენზიებით, რომელსაც გასცემენ პარტნიორ ქვეყნებში. ასეთი საბუთის გარეშე აიკრძალება ევროკავშირში მერქნის შეტანა. იმისათვის, რომ საბაჟო სამსახურებმა შეაჩერონ უკანონო ხე-ტყის შეტანა, საჭირო გახდება ევროკავშირის ახალი დირექტივის მიღება.

2005 წელს სანკტ-პეტერბურგში აღნიშნული თემისადმი მიძღვნილ მინისტრთა მესამე კონფერენციაზე მსოფლიოს ორმოცდახუთმა ქვეყანამ (საქართველოს ჩათვლით) ხელი მოაწერა „ევროპისა და ჩრდილოეთ აზიის სატყეო სექტორში კანონაღსრულებისა და მმართველობის" (ENA FLEG) დეკლარაციას. დეკლარაციაზე ხელმომწერმა ქვეყნებმა აიღეს პოლიტიკური ვალდებულება, ყველა დაინტერესებულ მხარესთან შეთანხ-

მებით შეიმუშაონ და განახორციელონ ეროვნული გეგმა სექტორის მართვის გასაუმჯობესებლად, არალეგალური ჭრებისა და ვაჭრობის აღსაკვეთად. ასევე, მთელმა რიგმა დონორმა ორგანიზაციებმა გამოთქვეს დეკლარაციის მიზნების მისაღწევად ხელმომწერი ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენის სურვილი. უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალურად საქართველოს მიერ დეკლარაციაზე ხელმოწერის ფაქტი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან აღნიშნულით საქართველოს მთავრობამ დააფიქსირა სატყეო სექტორში მართველობის გაუმჯობესებისა და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკური ნება. სამწუხაროდ, ამ დეკლარაციით (ისევე როგორც სხვა მრავალი საერთაშორისო შეთანხმებით, კონვენციითა თუ ხელშეკრულებით) აღებული ვალდებულებები მხოლოდ ქაღალდზე რჩება[25].

ევროკავშირის ქვეყნებსა და აშშ-ში დიდი ყურადღება ექცევა დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარებას [29, 30, 35]. ევროკავშირის ქვეყნებში შექმნილია დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური ქსელი NARURA 2000, რომლის მიზანია საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს დაცვა. იგი მოიცავს ევროკავშირის ქვეყნებში „ჰაბიტატების დირექტივით“ და „ფრინველთა დაცვის დირექტივით“ დაცულ ტერიტორიებს. დღემდე ამ ქსელში ჩართულია 25.000-ზე მეტი ტერიტორია ანუ საიტი, რომელთა საერთო ფართობი მეტია, ვიდრე გერმანიისა და იტალიის ერთად აღებული ტერიტორიები. ქვეყნები ვალდებული არიან შეასრულონ აუცილებელი ღონისძიებები ამ საიტების კონსერვაციისათვის და არ დაუშვან მათი მდგომარეობის გაუარესება. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ყველა ქვეყანა ვალდებულია ერთნაირი სქემით მოახდინოს ფაუნისა და ფლორის კონსერვაციული ღონისძიებების განხორციელება. ყველა ქვეყანამ უნდა მიიღოს ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ეკოლოგიურ ქსელში ჩართული ტერიტორიების დაცვასა და ადეკვატურ მართვას. ასეთ ქმედებებად მიჩნეულია: ეკოლოგიური კვლევების ჩატარება ამ ტერიტორიებზე მიმდინარე კრიტიკული ცვლილებების დასადგენად; მართვის გეგმების შედგენა მოკლე და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად; მაქსიმალური სიზუსტით ტერიტორიების საზღვრების განსაზღვრა და სხვ. ევროკავშირის წევრობის ერთ-ერთი პირობაა ასეთი ქსელის დაარსება.

გარდა NARURA 2000-სა არსებობს ე.წ. „ზურმუხტოვანი ქსელი“ (Emerald Network). ეს ქსელი NARURA 2000-თან თავსებადია, მაგრამ მასში მონაწილეობა შეუძლიათ იმ ქვეყნებსაც, რომლებიც არ შედიან ევროკავშირში [33].

ევროკავშირს გააჩნია ბიომრავალფეროვნების დაცვის პოლიტიკური და იურიდიული ინსტრუმენტები. ასე მაგალითად, ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხები შეტანილია ევროკავშირის დოკუმენტებში „მდგრადი განვითარების სტრატეგია“ და „ლისაბონის პარტნიორობა ზრდისა და სამუშაო ადგილებისათვის“, „სოფლის მეურნეობის ზოგადი სტრატეგია“, „მეთევზეობის ზოგადი სტრატეგია“. ზემოთ ნახსენები „ფრინველების დაცვის დირექტივისა“ და „ჰაბიტატების დირექტივის“ გარდა, მიღებულია „გარემოზე ზემოქმედების შეფასების დირექტივა“, „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივა“, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივა“ და სხვ. ბიომრავალფეროვნების დაცვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ასევე წარმოადგენს „კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის კონვენცია)“.

## 6.2.სატყეო სექტორის რეფორმა ესტონეთში

ესტონეთის ტერიტორიის 51% ტყითაა დაფარული (2,3 მილიონი ჰექტარი). ამ მაჩვენებლით ესტონეთი მეოთხეა ევროპაში და მას უსწრებენ მხოლოდ ფინეთი, შვეცია და სლოვენია. ესტონეთის ტყეების 65% ანუ 1,5 მილიონი ჰექტარი წარმოადგენს კომერციულ ტყეებს ანუ კლასიკურ სამეურნეო ტყეებს. ესტონეთის ტყების მესამედი დაცული ან დაცვითი ტყეებია. დაცული და დაცვითი ტყების ხვედრითი წილის მიხედვით ესტონეთს უკავია მე-10 ადგილი ევროპაში. მას ძირითადად უსწრებენ ცენტრალური ევროპის ის ქვეყნები, სადაც ტყეებს მცირე ფართობი უკავია და სამეურნეო დანიშნულება არ გააჩნია. ესტონეთი უსწრებს თავის მეზობელ ქვეყნებს, მაგ. ლატვიაში კონსერვაციული სტატუსი (დაცული და დაცვითი) აქვს ტყეების 19,5, ლიტვაში – 18,7, შვეციაში – 12,3, რუსეთში – 10,7 ფინეთში – 7,2 პროცენტს [32].

ესტონეთის ხელისუფლების ახლანდელი პოლიტიკით ტყეებს 4 ძირითადი ფუნქცია აქვს: ეკონომიკური – ტყეები არის შემოსავლის წყარო, სოციალური – ტყეები იძლევა დასაქმების საშუალებასა და რეკრეაციის შესაძლებლობას, ეკოლოგიური – ტყეები იცავენ ბიომრავალფეროვნებას, კულტურული – ტყეები ესტონეთის კულტურის ნაწილია. ესტონეთის ეკონომიკისათვის ტყეებს ძალზე მნიშვნელოვანი შემოსავალი მოაქვს, რაც შეადგენს მშპ – 6%-ს. სატყეო სექტორში დასაქმებულია 45000 ადამიანი. ამგვარი მიდგომა ჩამოყალიბდა სატყეო სექტორის რეფორმის შედეგად, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. რეფორმის პროცესში დაშვებული იყო მძიმე შეცდომებიც, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვა ტყეებისათვის, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს რეფორმები სათანადოდ გააანალიზდა და მათ გამოსასწორებლად კვლავ განხორციელდა სტრუქტურული და საკანონმდებლო ცვლილებები. საბჭოთა ოკუპაციიდან გათავისუფლების შემდეგ ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად აუცილებელი გახდა მიწის რეფორმის გატარება, მაგრამ რეფორმის განხორციელების გზა იყო გაუაზრებელი და დაუბალანსებელი. ამის შედეგად ტყის მიწების მესამედი დაუბრუნდა მათ ისტორიულ მესაკუთრეს, მაგრამ ტყის არეალის ნახევარზე მეტი უკონტროლო ტყითსარგებლობის შედეგად განადგურდა. მიწისა და სატყეო რეფორ-

[25] დღემდე აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში არ განხორციელებულა არც ერთი ქმედება, არ შექმნილა არც ერთი დოკუმენტი; თავად დეკლარაციაზე ხელმოწერის ფაქტიც კი არ არის დაფიქსირებული არც სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე და არც წლიურ ანგარიშში, რაც ნიშნავს, რომ მისი მნიშვნელობა სათანადოდ არ არის გაცნობიერებული.

მისადმი რადიკალურმა ლიბერალურმა მიდგომამ შექმნა არაგამჭვირვალე სამართლებრივი და ადმინისტრაციული გარემო, რამაც შედეგად მოიტანა სამრეწველო ხე-ტყის უკანონო მოპოვება [28].

1991 წლის აგვისტოდან (დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ) დაიწყო მიწისა და საკუთრების რესტიტუციის პროგრამა. მიწის რეფორმის აქტმა (1991 წ.) დაადგინა, რომ ყველა ყოფილ მესაკუთრეს უკან უნდა დაებრუნებინა საკუთარი ქონება, რომელსაც 1940 წელს საბჭოთა ოკუპაციამდე ფლობდა. ესტონეთის მიწის ნახევარი ტყეა და მისი 60% ექვემდებარებოდა რესტიტუციას. მოსახლეობის უმეტესობა, რომელსაც ტყე დაუბრუნდა, ისეთ ურბანულ გარემოში ცხოვრობდა, რომ უშუალო შეხება ჰქონდა ტყესთან და, შესაბამისად, ფლობდა მისი მართვის უნარს. თუმცა არსებობდა, ასევე, ნაწილი მოსახლეობისა, რომელსაც აღარ ჰქონდა შეხება არც სოფელთან და არც ტყესთან. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ტყეების მესამედი მესაკუთრის გარეშე დარჩა. ეს იყო სოფლად სოციალური ქაოსის პერიოდი. დაიწყო ტყის მასობრივი ჭრა, რომელსაც ამართლებდნენ, როგორც არსებობისთვის აუცილებელ ღონისძიებას. მხოლოდ მესაკუთრეთა მეოთხედი თუ ცდილობდა შეენარჩუნებინა და დაეცვა საკუთარი ტყე და შეემუშავებინა ტყის მართვის გრძელვადიანი გეგმა. ასეთმა სატყეო პოლიტიკამ შედეგად მოიტანა ჭრის ბუმი. ტყით სარგებლობის რეგულირების სისტემის შექმნის ნაცვლად უპირატესობა მიენიჭა ულტრა-ლიბერალურ განვითარებას, რის გამოც ტყე პრაქტიკულად უკონტროლოდ დარჩა. არასამთავრობოების პროტესტის მიუხედავად, პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „სატყეო პოლიტიკა და ტყის აქტი“ (1998 წ), რომელმაც დააკანონა „თავისუფალი მეტყევეობა“. ამის შემდეგ ტყის მესაკუთრეს აღარ მოეთხოვებოდა მართვის გეგმის მომზადება, ნებართვის აღება ან ანგარიშგება. სატყეო სტატისტიკა გაქრა. ესტონეთის ტყისთვის დაიწყო მისი დამანგრეველი ერა – ყველგან დაკანონდა შეუზღუდავი ჭრები. არაგამჭვირვალე საკანონმდებლო გარემომ და რეფორმამ ერთად შექმნეს საუკეთესო პირობები უკანონო ტყის ჭრისათვის. ექსპერტების გათვლით, ესტონეთის ხე-ტყის 40%-მდე წარმოებული იყო კანონის დარღვევით.

1999 წლისთვის უკვე ცხადი გახდა სატყეო რეფორმის ჩავარდნის ფაქტი. მთავრობის მიერ რეფორმის პირველი ეტაპის (1991-1998 წწ) შესწავლა-გაანალიზებამ გამოკვეთა რეფორმის მიმდინარეობისას დაშვებული შეცდომები:

- რესტიტუცია და პრივატიზაცია დაიწყო საზოგადოებრივი ინტერესების ანალიზის გარეშე;
- მიწის რეფორმამ არ განუსაზღვრა წინაპირობები მესაკუთრეებს, რამაც ტყე დაუცველი დატოვა;
- ახალი მესაკუთრეები არ აიძულეს, დაეცვათ ტყის მართვის გეგმის მოთხოვნები;
- სატყეო კანონმდებლობის რეფორმა დაიწყო მიწის რეფორმასთან ერთად, რამაც ქაოსი გამოიწვია;
- პოლიტიკოსებმა აირჩიეს ულტრა-ლიბერალური სატყეო რეფორმა, რამაც ტყის მართვის სისტემა ვოლუნტარისტული და გაუმჭვირვალე გახადა;
- გაუმჭვირვალე მეტყევეობის შედეგად ტყის მესაკუთრეებს გაუჩნდათ დაუსჯელობის გრძნობა; არ არსებობდა საჭირო ინფორმაცია, რაც იწვევდა უკანონო მეტყევეობას;
- რეფორმის განმავლობაში მაკონტროლებელი ორგანოების უმეტესობა დაიშალა;

გარემოსდამცველებმა, მეცნიერებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ბევრმა მეტყევემ სამინისტროს წინაშე დასვეს საკითხი ტყითსარგებლობის რეგულირების და გამჭვირვალე მეტყევეობის აღდგენის შესახებ. სამინისტრომ ყურად იღო ტყის სექტორის პრობლემების ნაწილი და განახორციელა გარკვეული ცვლილებები. ესტონეთის მემარჯვენე ულტრალიბერალურ პოლიტიკოსებს არ ჰქონდათ მნიშვნელოვანი ცვლილებების მოხდენის უფლება.

1999 წელს შეიქმნა სახელმწიფო ტყის მართვის ცენტრი (RMK), რომელსაც დაეკისრა სახელმწიფო ტყეების (რომლებიც არ იყვნენ რესტიტუციის შედეგად პრივატიზებული)მართვა. 2002 წელს გადაწყდა, რომ „უპატრონო“ ტყეების მართვას თავის თავზე სახელმწიფო ტყის მართვის ცენტრი აიღებდა. ის ზედამხედველობას გაუწევდა ამ მიწებს, ჩაატარებდა ინვენტარიზაციას მოსახლეობის სტრატეგიული ინტერესების (ინფრასტრუქტურა, გარემო, ბუნების კონსერვაცია და მიწის ოპტიმიზაცია) გათვალისწინებით. მოგვიანებით შეთანხმდებოდა პირობები ამ მიწების ეროვნული პრივატიზაციისთვის.

2003 წელს ახალი მემარჯვენე მთავრობის მოსვლასთან ერთად დაიწყო ახალი პოლიტიკა ტყეებთან მიმართებაში. ევროკავშირის წევრობა უკვე რეალური გახდა და ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით სატყეო პოლიტიკა უფრო დაცვასა და კონსერვაციაზე ორიენტირებული გახდა.

დღეისათვის ტყეების 38% პრივატიზებულია, 38% არის სახელმწიფო საკუთრებაში, დანარჩენის კუთვნილება და მომავალი გაურკვეველია. სატყეო სექტორის მართვა და ზედამხედველობა ხორციელდება ესტონეთის გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ, დაქვემდებარებული ორგანოების მეშვეობით, და იყოფა შემდეგ ძირითად პროცესებად: დაგეგმვა, მეტყევეობა, წარმოება, მარკეტინგი, ტყის დაცვა, ზედამხედველობა, ტყის გაუმჯობესება. ესტონეთის სატყეო სექტორზე პასუხისმგებელი უწყებები არიან [32]:

**სახელმწიფო ტყის მართვის ცენტრი** (RMK) არის სახელმწიფო მომგებიანი საწარმო, ერთადერთი ასეთი ტიპისა ესტონეთში. ცენტრმა, ერთი მხრივ, ტყის ჭრისა და ტყის რესურსების გაყიდვით სახელმწიფოს უნდა მოუტანოს შემოსავალი. მეორე მხრივ, ცენტრის ამოცანაა იზრუნოს უნიკალური ტყის გარემოს შენარჩუნებაზე, გარემოსთვის სასარგებლო სატყეო სამუშაოების წარმოებასა და უფასო რეკრეაციული შესაძლებლობების შექმნაზე. სახელმწიფო ტყის მართვის ცენტრი მოქმედებს სამი ძირითადი მიმართულებით: ტყის მართვა, მცენარეთა კულტივაცია და რეკრეაციის მართვა. მას ასევე აქვს სანადირო მეურნეობები. ორგანიზაციაში დასაქმებულია 1100

ადამიანი, რომელთა უმეტესობა პროფესიონალი მეტყევეა.

**ტყის დაცვისა და მეტყევეობის ცენტრი** არის ესტონეთის გარემოს დაცვის სამინისტროს იურისდიქციის ქვეშ მყოფი სააგენტო. ცენტრის მოქმედებები დაკავშირებულია ყველა სახის საკუთრებისა და კატეგორიის ტყესთან. მისი ძირითადი ფუნქციებია:

- ტყის მდგრადი და მრავალფუნქციური მართვის კანონმდებლობის შექმნაში მონაწილეობის მიღება, ტყის დაცვა და მისი მართვა, კანონმდებლობის შესრულების ანალიზი, მონიტორინგი და სხვა;
- ტყის დაცვისა და მდგრადი მართვის შესახებ ესტონეთის რესპუბლიკის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო შეთანხმებების შესრულების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მომზადება;
- გამოყენებული კვლევების ორგანიზება, საკონსულტაციო მომსახურება და საქმიანობა მეტყევეობისა და ტყის დაცვის სფეროში;
- მეტყევეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;
- მცენარეთა თესლის წარმოებასა და იმპორტზე ნებართვის გაცემა.

**დასრულდეს „საქართველოს სატყეო პოლიტიკის“ დოკუმენტის პროექტზე მუშაობა, მოეწყოს პროექტის სრულფასოვანი (და არა პროფანაციული) საჯარო განხილვები ფართო საზოგადოების, სპეციალისტებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა მონაწილეობით და დამტკიცდეს პარლამენტის დადგენილებით.**

**ესტონეთის ტყეზე მეთვალყურეობის ცენტრი** არის კომპანია, რომლის წილობრივი მესაკუთრეა მხოლოდ გარემოს დაცვის სამინისტრო. მისი სამოქმედო სფეროა ტყის ინვენტარიზაცია, ტყის მართვის გეგმის მომზადება, სატყეო მიწების საგადასახადო ფასის დათვლა, ტყის მარაგის ანალიზის მომზადება და სხვა.

ტყის მართვასა და კონტროლში მონაწილეობენ აგრეთვე ესტონეთის გარემოსდაცვითი დეპარტამენტი და გარემოსდაცვითი ინსპექტორატი.

**ესტონეთის გარემოსდაცვითი დეპარტამენტი** – შედის სამინისტროს შემადგენლობაში – აწარმოებს სატყეო ოპერაციების ყოველდღიურ მონიტორინგს საველე მუშაკების მეშვეობით (სატყეო მიწის 30 000 ჰა ერთ მუშაკზე). ეს სამსახური ადმინისტრირებს ადგილობრივი დონის აპლიკაციებსა და ნებართვებს.

**გარემოსდაცვითი ინსპექტორატი** – შედის სამინისტროს შემადგენლობაში – აქვს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს კანონებისა და ინსტრუქციების (წესების) შესრულებას (ინსპექტორზე მოდის 43ვ 000 ჰა).

2007 წლის 1 იანვრიდან ესტონეთის სატყეო კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა. ისინი ეხება ტყეების განახლებას, კერძო ტყეების დახმარებას, უკანონო ჭრების შემცირებას, მდგრადი მეტყევეობის პრინციპის უკეთეს და ცხად ახსნას.

ესტონეთში მდგრადი მეტყევეობის ხელშეწყობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო მეტყევეების დახმარებას. სახელმწიფო აფინანსებს კერძო ტყის მფლობელების განათლებას სატყეო მეურნეობის წარმოებაში, ასევე გასცემს კომპენსაციებს კერძო მესაკუთრეებზე.

ესტონეთის ტყეებისათვის დადებითი როლი ითამაშა ევროკავშირში გაწევრიანებამ და Natura 2000-ის ქსელში ჩართვამ. ამის შედეგად ევროკავშირის „ჰაბიტატების დირექტივის“ შესაბამისად დაცვითი რეჟიმი გავრცელდა დამატებით ტყეების დიდ ფართობზე. ქსელი მოიცავს ესტონეთის გადაბერებული ტყის კორომების 10%-ს. ყოველდღიურად იზრდება იმ ტერიტორიების რაოდენობა, რომლებზეც აკრძალულია მერქნის მოპოვება. თუმცა, გარკვეული პრობლემები მაინც რჩება, რის გადაწყვეტისკენაც არის მიმართული ბოლო ცვლილებები. პრობლემატურად რჩება უკანონო ტყეთსარგებლობა: ითვლება, რომ მოპოვებული მერქნის 10% კანონის დარღვევითაა მოპოვებული. ჭარბი მოპოვების შედეგად გრძელდება კომერციული (სამეურნეო) ტყეების დეგრადაცია. ესტონელები თვლიან, რომ მათი სატყეო სექტორი ჯერ კიდევ გარდაქმნის ეტაპზეა და ეს პრობლემები უნდა გამოსწორდეს გარემოსდაცვით და სოციალურ პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, ხე-ტყის მრეწველობისა და მთავრობის ერთობლივი მუშაობით [25].

თავის დროზე ევროკავშირში გაწევრიანებისას მისი გარემოსდაცვითი მოთხოვნებისა და Natura 2000-ის ქსელში გაწევრიანების შედეგად გადარჩა უნგრეთის ტყეების დიდი ნაწილი (პოსტკომუნისტურ უნგრეთში ჩატარებული მიწის რეფორმის შედეგად ტყეების 20% „პატრონის გარეშე“ აღმოჩნდა. დაუზოგავმა ჭრებმა, რასაც უპირატესობა ენიჭებოდა ტყის რესურსების მართვისას (78%), თითქმის მთლიანად შეიწირა ტყეების ბიომრავალფეროვნება. დღეს აქ ტყეებს ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 18,4% უკავია. ფრაგმენტულად არის შემორჩენილი ბუნებრივი ტყეები, დანარჩენი – პლანტაციები ან სახეშეცვლილი კორომებია, რომელთა შორისაც არაადგილობრივი მერქნიანი სახეობები დომინირებენ).

მიუხედავად ამა თუ იმ ქვეყნის დადებითი ან უარყოფითი გამოცდილებისა, რეფორმის მთლიანად გადმოღება არ მოიტანს დადებით შედეგებს. თუ ავიღებთ ესტონეთის მაგალითს, უნდა გავითვალისწინოთ ტყეების ეკოლოგიური და ბიოგეოგრაფიული თავისებურებები და ტყეების ზომა. (ესტონეთში ტყეები ერთგვაროვანია, ძირითადად განლაგებულია ცალკეულ მცირე, ერთმანეთთან დაკავშირებულ კორომებად; ესტონეთში მხოლოდ ორი მეტ-ნაკლებად დიდი ტყეა: 10-20 კმ სიგანისა და 200 კმ ტყის ზოლი სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროდან ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირომდე და 200 ჰა ტბა პეიპუსთან) [32].

## 7. დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს სატყეო სექტორში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- არ არსებობს ეროვნული სატყეო პოლიტიკა და სტრატეგია;
- სატყეო სექტორთან დაკავშირებული კანონმდებლობა არ შესაბამება ტყეების მდგრადი მართვის პრინციპებს; სხვადასხვა დროს მიღებული კანონები წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან;
- სატყეო სექტორის ინსტიტუციური მოწყობა გაუმართავია და ვერ უზრუნველყოფს ტყეების მდგრად მართვას;
- ქვეყნის ტყის ფონდის უმეტეს ნაწილში ტყეთმოწყობა 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ჩატარებულა. სახელმწიფო არ ფლობს ინფორმაციას სატყეო ფონდის, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 43%-ის მდგომარეობის შესახებ;
- ტყეების კატეგორიზაციის არსებული სისტემა გაუგებარია და შეუთავსებელია თანამედროვე ტყის მდგრადი მართვისა და ეკოსისტემური მიდგომის პრინციპებთან;
- მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია დაცული სტატუსი. ქვეყანაში დაცული ტერიტორიები არასაკმარისია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება;
- არ განხორციელებულია ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ტყეების გადაცემა;
- ტყის ერთადერთ მესაკუთრედ დღემდე რჩება სახელმწიფო, რომელსაც ამ ეტაპზე არ გააჩნია ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსები სატყეო მეურნეობის წარმართვისათვის;
- ქვეყნის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებისა და რეკომენდაციების შესრულებისათვის არაფერი კეთდება;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა შეზღუდულია;
- დღეისათვის დამკვიდრებული ტყითსარგებლობის პრაქტიკა ხელს უშლის სატყეო სექტორში დასაქმებულ მეწარმეებს შორის ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას; პრობლემებს უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას; არ არის გათვალისწინებული გარემოსდაცვითი შედეგები, რამაც შესაძლებელია ტყის ეკოსისტემების დეგრადაცია და საბოლოოდ ადამიანის მიერ პროვოცირებული ეკოლოგიური კატასტროფები გამოიწვიოს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ საქართველოს სატყეო სექტორი საჭიროებს დაუყოვნებლივ რეფორმირებას პოლიტიკის, კანონმდებლობისა და ინსტიტუციურ დონეზე. რეფორმის დაწყების შესახებ არაერთი განცხადების მიუხედავად, პროცესმა გაუგებარი და წინააღმდეგობრივი ხასიათი მიიღო. ზემოთ აღწერილი პრობლემების მოგვარებისთვის საჭიროა თანამიმდევრულად გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

1. პირველ ყოვლისა, უნდა დასრულდეს „საქართველოს სატყეო პოლიტიკის" დოკუმენტის პროექტზე მუშაობა, მოეწყოს პროექტის სრულფასოვანი (და არა პროფანაციული) საჯარო განხილვები ფართო საზოგადოების, სპეციალისტებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა მონაწილეობით და დამტკიცდეს პარლამენტის დადგენილებით.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა მთავრობაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები (ხშირ შემთხვევაში საშუალო დონეზეც კი) არ იწვევდეს ტყეებთან დაკავშირეული პოლიტიკის ავტომატურ ცვლილებებს. ამავე დადგენილებით საქართველოს მთავრობას უნდა დაევალოს, რომ აღნიშნული დოკუმენტზე დაყრდნობით შეიმუშაოს ახალი „საქართველოს ტყის კოდექსი".

### განისაზღვროს მდგრადი მეტყევეობის ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა

2. საქართველოს ეროვნული სატყეო პოლიტიკის საფუძველზე:
   - განისაზღვროს მდგრადი მეტყევეობის ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა;
   - გატარდეს საკანონმდებლო ცვლილებები;
   - გატარდეს ინსტიტუციური ცვლილებები.

ტყით სარგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომელიც რეგულირდებოდა 1999 წელს მიღებული ტყის კოდექსის მეშვეობით, მნიშვნელოვნადად შეცვალა 2005 წელს „ლიცენზიებისა და ნებართვების" შესახებ კანონმა და მისგან გამომდინარე ნორნატიულმა აქტებმა. აღნიშნული გარემოება ქმნის კოლიზიებს და გაუგებრობებს. ამ ვითარებაში, ახალი „ტყის კოდექსის" ამოქმედებამდე გაუმართლებელია კერძო სექტორზე ხანგრძლივი ვადით დიდი რაოდენობის ტყის ფართობების გადაცემა. ასევე არ შეიძლება დიდი მასშტაბის ლიცენზიების გაცემა მანამდე, სანამ არ არის ჩატარებული ტყეების ინვენტარიზაცია-კატეგორიზაცია.

3. კანონმდებლობით უნდა დადგინდეს ამ ტყის მდგრადი მართვისა და ეკოსისტემური მიდგომის პრინციპებზე დამყარებული ტყეების კატეგორიზაციის სისტემა (შესაძლებელია ეს იყოს ტყეების დაყოფა MCPFE კლასების მიხედვით – დაცული, დაცვითი და სამეურნეო ტყეები). ნების არსებობის შემთხვევაში პრობლემას არ წარმოადგენს თუნდაც არსებული ტყეთმოწყობების (ინვეტარიზაციის) და სხვა მასალების საფუძველზე საქართველოს მთელი ტყის ფონდის დაყოფა კლასებად (კატეგორიებად): დაცულ, დაცვით და სამეურნეოსაექსპლუატაციო ტყეებად (ამ პროცესს ინტენსიური მუშაობის შემთხვევაში 2-3 თვე დასჭირდება).

4. საქართველოს ტყეების კატეგორიზაციით/ზონირებით უნდა გაიმიჯნოს მნიშვნელოვანი/კრიტიკული გარემოსდაცვითი ტყის ფართობები და სამეურნეო ტყის ფართობები, რომლებშიც მერქნის მოპოვება ჯერ კიდევ დასაშვებია. ეს იქნება ტყეები, რომელთა სიხშირე ოპტიმალურია და ამავე დროს ისინი არ წარმოადგენს მაღალი კონსერვაციული ღირებულებების ტყეებს. პირველ რიგში კი

მერქნის დამზადებისათვის დასაშვები ტყეების ხარჯზე უნდა მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება (საშეშე თუ სამასალე მერქნით) და კომერციული მიზნით გაიცეს მხოლოდ დარჩენილი მერქნული რესურსის ოდენობა.

**სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს ტყეების აღრიცხვა/ინვენტარიზაცია. ამისათვის არ არის აუცილებელი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განხორციელდეს ტყეების დეტალური ტყეთმოწყობა, ამის სანაცვლოდ შესაძლებელია განხორციელდეს ტყეების სტატისტიკური ინვენტარიზაცია.**

5. სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს ტყეების აღრიცხვა/ინვენტარიზაცია. ამისათვის არ არის აუცილებელი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განხორციელდეს ტყეების დეტალური ტყეთმოწყობა, ამის სანაცვლოდ შესაძლებელია განხორციელდეს ტყეების სტატისტიკური ინვენტარიზაცია. ეს მეთოდი დადგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინიტრის 2007 წლის 2 ოქტომბრის §„–1440 ბრძანებით. ამით სახელმწიფო მიიღებს იმ ინფორმაციას, რომელიც საკმარისია ტყით სარგებლობის დაგეგმვისათვის – ფართობები, საზღვრები, სახეობრივი შემადგენლობა, მარაგები და ა.შ. სახელმწიფოს მიერ ინვენტარიზაციაზე დახარჯული თანხის ანაზღაურების ვალდებულება უნდა ჩაიდოს ლიცენზიის პირობაში. ასეთი ქმედება, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით გამართლებული გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო, მეორე მხრივ, უფრო მეტ ინვესტორს მოიზიდავს ტყითსარგებლობის აუქციონში მონაწილეობის მისაღებად. ეს პროცესი შეიძლება ერთ წელიწადში დასრულდეს.

6. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის შესაბამისად უნდა გამოიყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის გადასაცემი ტყეები და დაიწყოს დეცენტრალიზაციის პროცესი. გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები ძლიერ დეგრადირებულია და შეუძლებელია მხოლოდ მათ ხარჯზე ადგილობრივი მოსახლეობის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება. ამიტომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის ტყეების გადაცემა, თუ ამის განხორციელება გადაწყდა, უნდა მოხდეს მოსახლეობის რეალური საჭიროებების შეფასებისა და ტყეების ინვენტარიზაციის შედეგების შესაბამისად. პროცესს წინ უნდა უძღოდეს უფლება-მოვალეობების მკვეთრი გამიჯვნა, ტყითსარგებლობის წესების ჩამოყალიბება და ადგილობრივი ტყის ფონდის დაფინანსების წყაროების დადგენა. ამ ეტაპების გარეშე ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ტყის ფართობების გადაცემის საკითხის განხილვა არ არის მიზანშეწონილი.

7. საქართველოს ტყეების ეკონომიკური შესაძლებლოების შეფასებისას სახელმწიფომ ჯეროვნად უნდა შეაფასოს ტყეების გარემოსდაცვითი ღირებულება; ამ ფაქტორის გათვალისწინებით საქართველოს ტყეებს გაცილებით მაღალი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნიათ, ვიდრე ჩვეულებრივი ხე-ტყის დამზადებაა. ეს ღირებულებები დაცული უნდა იყოს. მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეებს უნდა დაუკანონდეთ **დაცული ტერიტორიების სტატუსი** (ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) I-IV კატეგორია, ანუ ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ბუნების ძეგლები, აღკვეთილები), კანონმდებლობით დადგენილი პროცედურით დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებამდე ნორმატიული აქტით (პარლამენტის დადგენილებით ან პრეზიდენტის ბრძანებულებით) მიენიჭოთ „სარეზერვო დაცული ტერიტორიების" სტატუსი და აიკრძალოს მერქნის ინდუსტრიული დამზადება. გარდა ამისა, ნაკლებად მკაცრი რეჟიმის დაცულ ტერიტორიებად (IUCN V-VI კატეგორია, ანუ დაცული ლანდშაფტები და ტრადიციული გამოყენების ზონები. აქ არ იკრძალება ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა) შესაძლებელია დამატებით გამოცხადდეს ტყეების არანაკლებ 15%, რომელთა მართვა შესაძლებელია მოახდინონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმაც. სარეზერვო და ახალი დაცული ტერიტორიების გამოცხადების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ევროკავშირის რეკომენდაციები, რათა გამართივდეს მათი ჩართვა ევროპის დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური ქსელებში („ზურმუხტოვანი ქსელი", „NATURA 2000")[26]. ტყეების ეკოლოგიური ფუნქციის შენარჩუნების ყველაზე რეალური და, შეიძლება, ერთადერთი გზა არის მაღალი ხარისხის დაცული ტერიტორიების ქსელის ჩამოყალიბება.

8. ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების განხორციელებამდე ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობისა და არსებული ტენდენციების გათვალისწინებით უნდა შეწყდეს მერქნული რესურსის ფართომასშტაბიანი გამოყენება/ხანგრძლივვადიანი ლიცენზირების პრაქტიკა. ამაში არ იგულისხმება ადგილობრივი მოსახლეობისათვის აუცილებელი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

9. ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების განხორციელების შემდგომ შესაძლებელია კერძო პირებს ხანგრძლივი ვადით გადაეცეთ საქართველოს სამეურნეო ფონდის ნაწილი (ლიცენზიის, იჯარის ან კერძო საკუთრების ფორმით, საქართველოს სატყეო პოლიტიკის პრინციპების შესაბამისად)[27].

10. ყურადღება უნდა მიექცეს სამეურნეო ტყის ფონდის იმ ნაწილს, რომელსაც არ აქვს მა-

---

[26] Natura 2000 ეკოლგიური ქსელის წევრობა სავალდებულოა ევროკავშირის ქვეყნებისათვის.

[27] დღეს არსებული პოლიტიკა კი საპირისპირო მიმართულებით მიდის – გრძელვადიანი ლიცენზიებით ხდება საუკეთესო ტყის მონაკვეთების გასხვისება და ადგილობრივ მოსახლეობას მხოლოდ ნარჩენები ხვდება.

ღალი კონსერვაციული ღირებულება, ასევე არ არის კომერციულად საინტერესო და იმავდროულად ვერ გადავა ადგილობრივი თვითმმართველობის იურისდიქციაში. იმისათვის, რომ აქაც არ მოხდეს იგივე, რაც ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩატარებული რეფორმების პირველ წლებში, როცა „უპატრონოდ“ დარჩა სატყეო ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი, შესაძლებელია, ჩამოყალიბდეს სახელმწიფო სატყეო-სამეურნეო ერთეული, რომელსაც სამართავად გადაეცემა ეს ტყეები. სატყეო მეურნეობა გულისხმობს ისეთ ღონისძიებებსაც, რომლებსაც დღეისათვის ვერ ახორციელებენ სატყეო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოები, ხოლო სახელმწიფო სატყეო-სამეურნეო ორგანიზაციას ამისათვის მეტი შესაძლებლობა ექნება. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მაკონტროლებელი სტრუქტურების (გენერალური ინსპექცია, საგამოძიებო დეპარტამენტი და გარემოს დაცვის ინსპექცია) არსებობის პირობებში ამ სამსახურის გაკონტროლება არ იქნება დიდ სიძნელეებთან დაკავშირებული. ამ გზით შეიძლება მოგვარდეს ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველყოფის დღეისათვის გადაუჭრელი პრობლემა.

11. მართვის სხვა ფორმების პარალელურად უნდა აღდგეს კერძო, საეკლესიო და სათემო საკუთრება ტყეებზე.

12. საქართველოს ტყის ფონდის მთელ ტერიტორიაზე, მიუხედავად საკუთრების და მართვის ფორმებისა, უნდა მოქმედებდეს ტყითსარგებლობის უნიფიცირებული წესები; კანონქვემდებარე რეგულირება საფუძვლიანად უნდა გადამუშავდეს: ყველა ტყითმოსარგებლისათვის აუცილებელი უნდა იყოს საქმიანობის განხორციელება სერტიფიცირებული მეტყევეების მეშვეობით; დაწესდეს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტები ხე-ტყის დამამზადებელ ტექნიკასთან დაკავშირებით; ჩამოყალიბდეს ეკოსისტემურ მიდგომაზე დამყარებული მკაფიო სალიცენზიო პირობები, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფს გარემოს შენარჩუნებას, მდგრადი მეტყევეობის განვითარებას და სერიოზული ინვესტორების მოზიდვას. ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სატყეო განათლებასა და კადრების მომზადებას.

13. სატყეო სექტორის რეფორმის ყველა ეტაპზე უნდა თანმიმდევრულად სრულდებოდეს კონვენციებისა და საერთაშორისო ინიციატივების მოთხოვნები, ვინაიდან ამ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფს საქართველოში მდგრადი მეტყევეობის განვითარებასა და ტყის მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვას, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მისგან შემოსული შემოსავლების სამართლიანად გადანაწილებას. თითოეულ მათგანში ეკოლოგიურ მოთხოვნებთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობა საზოგადოების მონაწილეობას და პროცესების გამჭვირვალობას.

14. ტყის მართვასთან დაკავშირებული ყოველი კონკრეტული გადაწყვეტილება მათ მიღებამდე/დამტკიცებამდე უნდა გახდეს ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგანი. ამასთან, საზოგადოების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა თუ მოსაზრებების გაუზიარებლობის შემთხვევაში ხელისუფლებამ საჯაროდ უნდა დაასაბუთოს თითოეულის გაუთვალისწინებლობის მიზეზი.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. *აბაშიძე ი., კ. თარგამაძე, ნ. მარგველაშვილი, პ. მეტრეველი, ვ. დარახველიძე, შ. აფციაური, ლ. ჩიხლაძე, გ. გიგაური, თ. ურუშაძე, მთავარი სარგებლობის ჭრების შედეგები საქართველოს ძირითადი ჯიშის ტყეებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXXX-LXXXI, თბილისი, 1970 .*
2. *გუჯარაიძე ქ.,. გარემოსდაცვითი მმართველობა საქართველოში და ევროკავშირის როლი მის გაძლიერებაში, მწვანე ალტერნატივა, 2006, გვ. 84.*
3. *მაჭარაშვილი ი., 2006. ბიომრავალფეროვნების დაცვა და მართვა: საქართველოსა და ევროკავშირის მიდგომები, მწვანე ალტერნატივა,თბილისი, გვ.48*
4. *მაჭარაშვილი ი., 2008. „საქართველოს სატყეო სექტორის მონიტორინგი 2007-2008“, თბილისი, მწვანე ალტერნატივა, 52 გვ.*
5. *მაჭარაშვილი ი., 2008, სატყეო სექტორის დეცენტრალიზაცია, სახელმძღვანელო. თბილისი, მწვანე ალტერნატივა, 48 გვ.*
6. *საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, NACRES, 2005, თბილისი, გვ. 89.*
7. *საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საინფორმაციო საძიებო სისტემა CODEX 2005.*
8. *საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ყოველწლიური სტატისტიკური ბროშურა, თბილისი, 2006*
9. *საქართველოს სატყეო სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი და რეკომენდაციები, 2006, რედ. ი. მაჭარაშვილი, მწვანე ალტერნატივა, თბილისი, 84 გვ.*
10. *საქართველოს სატყეო სექტორის პრობლემები: უკანონო ქმედებები და კანონთა შორის კოლიზიები. 2006,კ მწვანე ალტერნატივა, თბილისი, 52 გვ.*
11. *Latvia National Report, European Forestry Commission/Timber Committee session, 2000, Rome http://www.unece.org/trade/timber/docs/tc-58/efc-reports/latvia.htm*
12. *Mountain Forest Policy in Austria: A Historical Policy Analysis on Regulating a Natural Resource, Gerhard Weiss, THE WHITE HORSE PRESS, UK, Environment and History 7(2001): 335-355*
13. *Improved Pan-European Indicators for Sustainable Forest Management as adopted by the MCPFE Expert Level Meeting 7-8 October 2002, Vienna, Austria, Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe Liaison Unit Vienna, www.mcpfe.org*
14. *Public participation in forestry in Europe and North America, 2002, joint FAO/ECE/ILO committee on forest technology, management and training team of specialists on participation in forestry , Published by Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe Laison Unit Vienna, www.mcpfe.org*
15. *State of Europe’s Forests 2003 – The MCPFE Report on Sustainable Forest Management in Europe, MCPFE Liaison Unit Vienna & UNECE/FAO, Vienna, 2003, MCPFE Paper 2, April 2002*
16. *Vienna Declaration and Vienna Resolutions. 2003. Adopted at the Fourth Ministerial Conference on*

*the Protection of Forests in Europe. http://www.mcpfe.org*

17. *Ewald Rametsteiner, Florian Kraxner, 2003; Europeans and Their Forests . What Do Europeans Think About Forests and Sustainable Forest Management? A Review of Representative Public Opinion Surveys in Europe, Vienna, Published by Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe Liaison Unit Vienna, www.mcpfe.org*
18. *Protected Forests in Europe, 2003. Edited and published by the MCPFE Liaison Unit Vienna publisher, April*
19. *NATURA 2000, EUROPEAN COMMISSION DG ENV NATURE NEWSLETTER Issue 17, January 2004*
20. *MCPFE 2004. Minutes of the workshop: "Exchanging country's experiences in the NFP processes on the practical application of the MCPFE Approach to the NFPS in Europe." http://www.mcpfe.org/documents/minutes/arcdoc/work/*
21. *Forestry and Our Cultural Heritage, 2005, Sunne, Sweden Published and edited by Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe Liaison Unit Warsaw, www.mcpfe.org*
22. *MCPFE Work Programme Pan-European Follow-up of the Fourth Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe Updated edition – October, 2005 Published by Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe Laison Unit Warsaw, www.mcpfe.org*
23. *National Forest programmes in Europe, Warsaw, 2005, Published by Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe Laison Unit Warsaw, www.mcpfe.org*
24. *Joint position of the MCPFE and the EfE/PEBLDS on The Pan-European Understanding Of The Linkage Between The Ecosystem Approach and Sustainable Forest Management, 2006, Geneva-Warsaw, Published by Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe Liaison Unit Warsaw, www.mcpfe.org*
25. *Jaan Parn, 2006, May. Forests of Estonia, Estonian Green Movement, http://www.fern.org/media/documents/document_3671_3672.pdf*
26. *Can Europe's forests satisfy the increasing demand for raw material and energy under sustainable forest management? Joint press release issued with the Liaison Unit Warsaw of the Ministerial Conference on the Protection of Forests in Europe (MCPFE) and the Confederation of European Paper Industries (CEPI), Geneva, 23 January 2007 UN Economic Commission for Europe/Food and Agriculture Organization, UNECE Trade and Timber Division, http://www.unece.org/press/pr2007/07tim_p01e.htm*
27. *Biodiversity hotspots, Conservation International, http://www.biodiversityhotspots.org.*
28. *Estonian Fund for nature,_http://vana.elfond.ee/index.php?keel=inglise*
29. *EU Nature and biodiversity homepage_http://ec.europa.eu/environment/nature/home.htm*
30. *OECD/EEA database on instruments used for environmental policy and natural resources management, http://www2.oecd.org/ecoinst/queries/index.htm*
31. *Österreichische Bundesforste AG (ÖBf AG) http://www.bundesforste.at/*
32. *State forest management centre (RMK) Estonia, http://www.rmk.ee/*
33. *The Emerald Network , Council of Europe, http://www.coe.int/t/e/cultural_co-operation/environment/nature_and_biological_diversity/ecological_networks/The_Emerald_Network/*
34. *UN forum on forests, http://www.un.org/esa/forests*
35. *U.S. National Park Service, http://www.nps.gov/*
36. *World intact forest landscapes.Greenpeace, http://www.intactforests.org/*

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD) დამოუკიდებელი, საჯარო პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე კვლევითი ცენტრია. ინსტიტუტი დაფუძნდა თბილისში 1992 წელს. კავკასიური ინსტიტუტი ასრულებს კვლევით სამუშაოებს, ამზადებს და გამოსცემს სხვადასხვა პუბლიკაციას, აწყობს კონფერენციებს, მრგვალ მაგიდებს და საჯარო დისკუსიებს. ინსტიტუტი აგრეთვე ატარებს სასწავლო ტრენინგებს და სემინარებს. ინსტიტუტის კომპეტენცია განსაკუთრებითვ მაღალია ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ეთნიკური და რელიგიური უმცირესობი და სამოქალაქო ინტეგრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, მედია, პოლიტიკური პარტიები, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები და უსაფრთხოების სექტორის რეფორმები.

კავკასიური ინსტიტუტი ძირითადად საქართველოში წარმართავს თავის საქმიანობას, თუმცა სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვა-ბალკანეთის სივრცეზე მიმდინარე ერთობლივ პროექტებშიც მონაწილეობს.

**მისამართი:** აკაკი წერეთლის გამზირი 72, თბილისი 0154, საქართველო
სააბონენტო ყუთი 101, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 35 51 54, ფაქსი (995 32) 35 57 54
ელ-ფოსტა: info@cipdd.org;
www.cipdd.org